# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გაცდანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


პარასკევი, 3 ნოემბერი. 2023 წ. №123 (9655) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


ნუგზარ რუხაძე:

## ვინ მართავს დღეს მსოფლიოს?!



იხ. 8 გვ.

## მოსახლეობის მატების (თუ კლების) შოკი?!

**სამყარო, რომელშიც გვიწევს ცხოვრება, თვალსა და ხელს შუა იცვლება, სავსეა ეკოლოგიური, ეკონომიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური მოულოდნელობებით, რომელთა გამკლავება აღარაა დამოკიდებული მხოლოდ შეძენილ ცოდნასა და ადამიანურ ალღოზე. დღევანდელ მსოფლიოში მშვიდ და კმაყოფილ ცხოვრებას ანალიტიკური მიდგომა და მეცნიერული ჭვრეტა სჭირდება. ჩვენ, ყველას, ჩვეულებრივ ადამიანებს, და არა მხოლოდ მათ, ვინც ჩვენ გვამრთავს ჩვენივე ნებითა და თანხმობით, სამყაროს მთლიანობაში გააზრება და დედამიწაზე არსებულ ვითარებაში გარკვევა გვჭირდება იმისთვის, რომ ცხოვრება გაგვიადვილდეს.**

როგორ გამოიყურება მსოფლიო დღეს, რითაა დაკავებული მისი მთავრი ბინადარი, ადამიანი, და რის წინაშე, შეიძლება, დავდგეთ ახლო მომავალში. ასეთი მიდგომა, ჩვენი მომავალი ნააზრევისთვისაც მოგვამზადებს და მსჯელობასაც გაგვიმარტივებს მიმდინარე თემატიკაზე. მსოფლიო ბოლო 100 წლის მანძილზე მკვეთრად შეიცვალა, რომლის ძირითადი მიზეზი ელვისებური დემოგრაფიული ცვლილებაა. 1923-დან 2023 წლამდე, დედამიწის მოსახლეობა ორი მილიარდიდან რვა მილიარდამდე, ანუ ზუსტად ოთხჯერ გაიზარდა. 21-ე საუკუნის ბოლომდე 10,5 მილიარდი ვიქნებით.



## წმინდა სინოდის სხდომაზე სიმშვიდე იყო...

**გუშინ საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა. სხდომა პატრიარქის მოწვევით შედგა და მას მაღალი იერარქიის სასულიერო პირები ესწრებოდნენ.** მათი განცხადებით, სასულიერო პირებმა განიხილეს ბოლო დროს ეკლესიაში დაგროვილი საკითხები. დეტალები სინოდის განჩინებაში იქნება ასახული, რომელიც საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**„არცერთი ის განცხადება, რაც აქამდე გაკეთდა, თითქოს მძიმე საკითხები უნდა ყოფილიყო გამოტანილი სხდომაზე, არ გამართლდა მორიგ ჯერზე. ამიტომ, დავიმახსოვროთ ეს ყველამ და ტყუილად ნუ შევიყვანთ ხოლმე მოსახლეობას შეცდომაში. მიმოხილული იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენი ტაძრების მდგომარეობა, იმ ეპარქიების მდგომარეობა, სადაც საოკუპაციო ხაზი გადის. მიმოხილული იყო ეპარქიები მაღალმთიან რეგიონებში, ასევე ზოგადად იყო განხილული პოლიტიკური და საომარი ვითარებები, რომლებიც ჩვენს რეგიონსა და სამეზობლოში ხდება“,** – აღნიშნა საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ანდრია ჯაღმაიძემ.

ჟურნალისტების მწარე შემოდგომა...

## იქმნება უმადურთა და მოღალატეთა კიდევ ერთი პარტია!

5

ირაკლი გოგავა:

## მსოფლიო ოლიგარქიული კლანების და რადიკალური გლობალისტების წინააღმდეგ დიდი შეტევა მზადდება



იხ. 2-3 გვ.

## მოკავშირეებმა ზელენსკის უღალატეს!



6



## კავკასიძეების ღვაწლი ქრისტიანული ისტორიული ძეგლების მშენებლობაში

7

„ლაშაობა – 23“

## პოეტის ლექსებით ამღერებული ოდაბადე...



იხ. 9 გვ.

№123. პარასკევი, 3 ნოემბერი, 2023 წელი.



პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ირაკლი გოგავა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სამ – პოლიტიკურ, ეთნიკურ და რელიგიურ განზომილებაზე საუბრობს.

როგორც გოგავა ამბობს, სამივე რელიგიას იუდაიზმს, ისლამს და ქრისტიანობას თავისი პოზიცია აქვს. ქრისტიანების მიხედვით, როდესაც სოლომონის მესამე ტაძარი აშენდება, იქ ანტიქრისტე ანუ ცრუ მესია დაიდგამს ტახტს და ის 1260 დღე, 42 თვე ანუ 3,5 წელი იმეფებს, შემდეგ კი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა იწყება. ისლამსაც იგივე სცენარის სჯერა. იუდაიზმის მიხედვით კი, სოლომონის მესამე ტაძარი როცა აღდგება, იქ მაშიახი ანუ მესია გამეფდება.

სამივე რელიგიისთვის ეს ფუნდამენტური საკითხებია და თუ დავაკვირდებით, ისლამს და ქრისტიანობას მსგავსი პოზიცია აქვთ.

დღეს ირაკლი გოგავა გვესაუბრება.

## ირაკლი გოგავა:

# 2024 –

# მსოფლიო ოლიგარქიული კლანების და რადიკალური გლობალისტების წინააღმდეგ დიდი შეტევა მზადდება




**– ბატონო ირაკლი, ახლო აღმოსავლეთში ომი გაჩაღდა. ჩვენ ვიხილეთ „ჰამასის" შეტევა ისრაელზე. ახლა ისრაელი ღაზას სექტორს არაპროპორციული ძალით უტევს. რამ გამოიწვია ესკალაცია?**

**ირაკლი გოგავა:** ამ კონფლიქტს სამი განზომილება აქვს: პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური. პოლიტიკური და ეთნიკური განზომილება მოგვარებადია, მაგრამ აი, რელიგიურის მოგვარება შეუძლებელია, რადგან ასეა დაწერილი.

პრობლემის პოლიტიკური ნაწილიც კი დღემდე მოუგვარებელი რჩება. 1947 წელს გაერომ 181-ე რეზოლუცია მიიღო, რითაც ისრაელის და პალესტინის სახელმწიფოების შექმნის რეკომენდაცია გასცა. ამ გადაწყვეტილებით, იერუსალიმი და ბეთლემი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა, პალესტინამ კი მხოლოდ ავტონომიას მიაღწია და იმ დროიდან პალესტინელები ტერიტორიებს რეგულარულად კარგავენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიული დანაკარგები ძირითადად ომების შემდეგ ხდებოდა. ომებში პალესტინელები კი არა, არაბული სახელმწიფოები მონაწილეობდნენ. თავიდან ეგვიპტეს, სირიას და იორდანიას პალესტინის ტერიტორიების მიერთება სურდათ. და კიდევ: ისრაელმა 1967 წლის 6-დღიანი წარმატებული ომის შემდეგ ე.წ. „ჩასახლებების" პოლიტიკა დაიწყო და მას შემდეგ პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე ებრაელებს ცალკე უბნებს უშენებენ და იქ ასახლებენ. ამ პროცესების გამოა ის რუკა აქტუალური, რომელსაც თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი გაეროს ტრიბუნიდან აჩვენებდა და დიდი რეზონანსი გამოიწვია.

ამ საკითხში ყველა მხარეს თავისი სიმართლე აქვს. რთულია ობიექტურად შეაფასო ვინ მართალია და ვინ მტყუანი. ისტორია უნდა ვიცოდეთ, რომ გავერკვეთ, თუ რა რთულ, თითქმის გადაუჭრელ პრობლემასთან გვაქვს საქმე. ჩვენ, ქართველებს, ებრაელებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, არასდროს ყოფილა საქართველოში მათი დევნა. ქართველ ებრაელებს საქართველო თავის მეორე ქვეყნად მიაჩნიათ და ბევრი ბრუნდება კიდეც. ახლახანს გამოქვეყნდა ცნობა, რომ ქართველმა ებრაელებმა ათასობით ბინა იყიდეს თბილისსა და ბათუმში.

გადმოსახლებას არ აპირებენ, მაგრამ აქ ურთიერთობები შეინარჩუნეს. ეგ ხალხი არ უნდა დავკარგოთ, ეს ქსელური ერია და ეკონომიკას ბევრ ქვეყანაში ავითარებენ, მათ დიდ რესურსებთან წვდომა აქვთ. 90-იან წლებში რუსებმა ამიტომ დაიყენეს გვერდში ებრაელები და სომხები – კომერციული უნარების გამო. სხვათა შორის, ეს პროცესი ქართველების ხარჯზეც მოხდა, ჩვენს საქმოსნებს ძალიან ძლიერი პოზიციები ჰქონდათ, მაგრამ გამოდევნეს. ახლა იქ ვითარება, როგორც ვხედავთ, იცვლება.

**– ისტორია რას გვეუბნება, როგორ ვითარდებოდა ამ რეგიონში მოვლენები?**

– ებრაელები ამ ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-13 საუკუნეში ეგვიპტიდან მოდიან და ქანაანის ქვეყანას იპყრობენ. ეს ბიბლიაში არის აღწერილი. ჩვ.წ.აღმდე მე-11 საუკუნეში ებრაელების მეფე დავითმა იერუსალიმი დაიპყრო და პირველი ებრაული სახელმწიფო შექმნა. შემდეგ მისი შვილი სოლომონ ბრძენი, იგივე ეკლესიასტე, მეფობდა და ცნობილი სოლომონის ტაძარი ებრაელთა ღმერთ იახვეს სწორედ მან აუშენა. ეს ტაძარი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ მეორემ ჩვ.წ.აღ-მდე მე-6 საუკუნეში გაანადგურა. ბაბილონი სპარსეთის მეფე კიროსმა დაამარცხა და ნახევარი საუკუნის შემდეგ ებრაელებმა სოლომონის ტაძარი აღადგინეს – მას „მეორე ტაძარს" უწოდებენ.

ამ დროისთვის იუდაიზმი, როგორც რელიგია, თითქმის საბოლოო ფორმით ყალიბდება. შემდეგ პალესტინის ტერიტორიები სხვადასხვა დამპყრობელს ეკუთვნის: სპარსეთი, ალექსანდრე მაკედონელი, სელევკიდები, რომის იმპერია. 70 წელს რომმა სოლომონის მეორე ტაძარი გაანადგურა. მე-2 საუკუნეში, აჯანყების გამო, რომის იმპერიამ ებრაელები პალესტინიდან საერთოდ გააძევა. ამ დროიდან პალესტინის ტერიტორიაზე ებრაელების მხოლოდ მცირე რაოდენობა ცხოვრობდა, დანარჩენები კი სხვადასხვა ქვეყანაში განსახლდნენ.

**– თუ ებრაელები პალესტინის ტერიტორიაზე თითქმის 2000 წელია აღარ სახლობდნენ, მაშინ სახელმწიფო როგორ შემქნეს?**

– რომთან კონფლიქტის შემდეგ ებრაელები მთელ მსოფლიოში მიმოიფანტნენ. ევროპაში კომერციას, ხელოსნობას და მევახშეობას ეწეოდნენ. ცნობილია, ვენეციის ებრაული დასახლება. სავახშო და საბანკო საქმეში, ვაჭრობაში, კომერციაში მათ ბადალი არ ყავდათ. იმდენი ქონება დააგროვეს, რომ უკვე სამეფო დინასტიებს სესხებსაც კი აძლევდნენ. მე-19 საუკუნეში ევროპელი ებრაელების ელიტას ებრაული სახელმწიფოს შექმნის იდეა გაუჩნდა. მსოფლიო ებრაელთა პირველი კონგრესი 1897 წელს ბაზელში ჩაატარეს, სადაც გადაწყდა, რომ პალესტინაში სახელმწიფოს შექმნაზე იმუშავებდნენ. ამ მოძრაობას თეოდორ ჰერცლი ედგა სათავეში.

დროთა განმავლობაში ებრაული სახელმწიფოს შესაქმნელად სხვადასხვა ვარიანტებს ასახელებდნენ: კენია, ეთიოპია, სუდანი, ეგვიპტე, მადაგასკარი, ყირიმი და ასე შემდეგ. 1917 წელს როტშილდების ოჯახმა მოახერხა და ბრიტანეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბალფურისგან პალესტინის ტერიტორიაზე ისრაელის შექმნის შესახებ თანხმობა მიიღო. მაშინ პალესტინა უკვე ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორია იყო, რადგან პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერია დაიშალა და პალესტინა დაკარგა. ამ დროისთვის პალესტინაში უკვე 85 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. შემდეგ დაიწყო ევროპელი ებრაელების გადასახლება პალესტინაში. გაეროს დათვლით, 1947 წლისთვის პალესტინის ტერიტორიაზე უკვე 600,000 ებრაელი და 1,2 მილიონი პალესტინელი არაბი ცხოვრობდა.

**– ვინ არიან პალესტინელები? არაბები ამ ტერიტორიაზე როდის მოხვდნენ?**

– პალესტინელები ნარევი სისხლის ხალხია. მესამედი არაბული ანუ სემიტური გენი აქვთ, სხვათა შორის, კავკასიური გენიც, G2a 10%-ზე მეტი აქვთ, რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან პროტოქართული ტომები და ქართული ტომები საკმაოდ აქტიურები იყვნენ ამ რეგიონში. ბიბლიურ „დაბადებაში" 23 თავი არის მომენტი, როდესაც აბრაამი ქებრონში მიდის და იქ ხეთელების მეფეს სთხოვს ხეთელების მიწაზე თავისი მეუღლის დაკრძალვის ნებართვას და თან ეუბნება, რომ მათ ქვეყანაში მდგმურად არის. ქებრონი იერუსალიმისგან 40 კმ-შია, ხეთელებს კი ზოგი ისტორიკოსი პროტოქართულ ტომად ასახელებს. ფაქტია, რომ დღევანდელი პალესტინელები თავს არაბებადაც თვლიან.

**– ამით არის განპირობებული ის მხარდაჭერა, რასაც ვაკვირდებით?**

– არაბულ სამყაროში მათ მიმართ კი არის სოლიდარობის განცდები, მაგრამ დამოკიდებულება მაინც არაერთგვაროვანია. მე ერაყსა და იორდანიაში ვმუშაობდი და ვიცი ეს საკითხი. არაბები პალესტინაში მე-7 საუკუნიდან ჩნდებიან, როდესაც ხალიფა აბუ ბაქარმა და შემდეგ ხალიფა ომარმა ბიზანტია დაამარცხეს. ხალიფა ომარმა იერუსალიმში, ყოფილი სოლომონის ტაძრის მიმდებარედ, სატაძრო მთაზე ალ აქსას მეჩეთი ააშენა, რომელიც დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა. სხვათა შორის, ალ აქსას მეჩეთს მუსოლინის ნაჩუქარი უძვირფასესი მარმარილოს კოლონები ამშვენებს.

შემდეგი ხალიფები იმავე მე-7 საუკუნეში უკვე „კლდის გუმბათის" მეჩეთს აშენებენ, რომელიც იმ ადგილას არის აშენებული, სადაც ადრე სოლომონის პირველი და მეორე ტაძარი იყო. ამ მეჩეთის შიგნით ფუძის ქვა მდებარეობს. იუდეველებს მიაჩნიათ, რომ ეს ფუძის ქვა არის პირველი, რაც ღმერთმა შექმნა. მათი რწმენით, ადამი და ევა უფალმა სწორედ აქ მოავლინა ქვეყნად. ისლამის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ მოციქული მუჰამედი მთავარანგელოზ გაბრიელთან ერთად ამ ქვიდან ზეცაში ამაღლდა და ამ ქვაზე იმ ფრთოსანი ცხენის – ბურაკის კვალი დარჩა, რომლითაც მოციქული მუჰამედი ზეცაში ავიდა. ამ მოვლენას ისლამი ისრას და მირაჯს უწოდებს. ამ დროიდან დღევანდელი პალესტინელები არაბები გახდნენ, დასახელება „პალესტინა" კი ფლისტიმიიდან მოდის და ეს ტერმინი ჰეროდოტემ დაამკვიდრა, ეს ხალხი ბიბლიური ხანებიდან ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ფილისტიმელების წარმოშობას ხეთელებთან, კრეტასთან, ქანაანთან აკავშირებენ.

**– როგორ ფიქრობთ, სოლომონის ტაძრის აღდგენა ანუ მესამე ტაძრის მშენებლობა თუ არის შესაძლებელი?**

– ეს დრამატული საკითხია. აქ სამივე რელიგიას, იუდაიზმს, ისლამს და ქრისტიანობას თავისი პოზიცია აქვს. ქრისტიანების მიხედვით, როდესაც სოლომონის მესამე ტაძარი აშენდება, იქ ანტიქრისტე ანუ ცრუ მესია დაიდგამს ტახტს და ის 1260 დღე, 42 თვე ანუ 3,5 წელი იმეფებს, შემდეგ კი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა იწყება. ისლამსაც იგივე სცენარის სჯერა, მხოლოდ ანტიქრისტეს დაჯალას ან ჯაჯალას ეძახიან, რაც ასევე ცრუ მოციქულს ნიშნავს. ისლამის მიხედვით, უფალი მოციქულ ისას ანუ იესოს აგზავნის ჯაჯალას განსადევნად. იუდაიზმის მიხედვით კი, სოლომონის მესამე ტაძარი როცა აღდგება, იქ მაშიახი ანუ მესია გამეფდება. სამივე რელიგიისთვის ეს ფუნდამენტური საკითხებია. თუ დავაკვირდებით, ისლამს და ქრისტიანობას მსგავსი პოზიცია აქვთ. „კლდის გუმბათის" მეჩეთს იერუსალიმში მუსულმანები იცავენ, ოფიციალურ მცველად იორდანიის მეფეა მიჩნეული, რადგან ის ჰაშემიტების დინასტიას წარმოადგენს, საიდანაც მოციქული მუჰამედი იყო.

**– მორწმუნეებს ამ სცენარების სჯერათ...**

– რა თქმა უნდა. ათეისტებს კი მინდა ვუთხრა, რომ შესაძლოა, მათ არ

**ახლო აღმოსავლეთში ომი გაჩაღდა. ამ კონფლიქტს სამი განზომილება აქვს: პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური. პოლიტიკური და ეთნიკური განზომილება მოგვარებადია, მაგრამ აი, რელიგიურის მოგვარება შეუძლებელია, რადგან ასეა დაწერილი.**

სჯეროდეთ მეორედ მოსვლის და ანტიქრისტეს გამეფების, მაგრამ ამ სამივე რელიგიის მიმდევრები ისე არიან დაპროგრამებულნი ამ სცენარზე, რომ ეს აუცილებლად მოხდება. ანუ როგორი კუთხითაც არ უნდა შეხედო, ეს გარდაუვალია. თუმცა, მორწმუნეს ამის არ უნდა შეეშინდეს, პირიქით ვინც ძლიერია რწმენაში, ამბობს, რომ რაც მალე გამეფდება ანტიქრისტე, მით უფრო მალე იქნება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ანტიქრისტეს მოსვლას ხელი შევუწყოთ. მეორედ მოსვლა იმას ნიშნავს, რომ ხალხებმა ადგილზე, ანუ ამ ქვეყანაზე, ადამიანთა მიწაზე ვერ ივარგეს. ეს გაუთავებელი ომები, სიხარბე, უზნეობა, უხამსობა კი აქეთკენ მიგვაქანებს.

**– რაც შეეხება „ჰამასს", გამოხატავს თუ არა პალესტინელი ხალხის აზრს?**

– ცნობილია, რომ „ჰამასი" 1987 წელს „ძმები მუსულმანების" ეგვიპტური ფილიალის ბაზაზე შეიქმნა. ბევრს მიაჩნია, რომ თავად „ძმები მუსულმანები" 1928 წელს შეიქმნა და ბრიტანულ-ფრანგული პროექტია. იმ დროს საფრანგეთი და ბრიტანეთი სუ-



## სისხლი ფულისა წილ!

# დიდი „წმენდის" შავი წელიწადი?!

**თავის დროზე „ჰამასის" დამფუძნებელს ახმედ იასინს ისრაელის სახელმწიფო ღიად აფინანსებდა კიდევაც. თუმცა, ერთი რამ არის, სპეცსამსახურების მიერ შექმნილი მსგავსი ავანტიურისტული პროექტები, ადრე თუ გვიან, კონტროლიდან შეიძლება გავიდნენ. ამის მაგალითი ბევრია: შამილ ბასაევი, ვაჰაბიტები, ისლამური სახელმწიფო, ალ ყაიდა, ბოკო ჰარამი, აუმ სენრიკო და ასე შემდეგ. აგენტები იღუპებიან ან სხვა უფრო მეტ ფულს უხდის და ასე შემდეგ.**

ეცის არხს აკონტროლებდნენ და სუეცის არხის კორპორაციის მთავარი ბაზა ეგვიპტის ქალაქ ისმაილიაში იყო, სადაც ამ კორპორაციის თანამშრომლებმა „ძმები მუსულმანები" შექმნეს. ეგვიპტეს სუეცის არხის ნაციონალიზაცია სურდა, რადგან მოგების მხოლოდ 15%-ს უხდიდნენ. „ძმები მუსულმანები" ეგვიპტის ხელისუფლებაზე გავლენის მიზნით შეიქმნა.

1956 წელს ეგვიპტის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა სუეცის არხის ნაციონალიზაცია მოახდინა. ნასერი დიდი ფიგურა იყო, მის გასვენებაში იორდანიის მეფე და პალესტინის ლიდერი იასირ არაფატი ტიროდნენ, ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფიმ კი ორჯერ გონება დაკარგა. ნასერის დაკრძალვაზე 5 მილიონი ეგვიპტელი მივიდა, მსგავსი მასშტაბები მხოლოდ სტალინის დაკრძალვისას იყო. დღეს სუეცის არხს ეგვიპტისთვის წელიწადში 48 მილიარდი მოაქვს.

**– თვითონ პალესტინელები როგორ შეხვდნენ „ჰამასის" შექმნას?**

– „ჰამასი"-ს შექმნამ პალესტინელებს შორის დაპირისპირება გამოიწვია, რადგან ისინი პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას დაუპირისპირდნენ. მათ შორის შეიარაღებული შეტაკებებიც ხდებოდა. 500-ზე მეტი ადამიანია დაღუპული ამ ბრძოლებში. საბოლოოდ იასირ არაფატმა „ჰამასი" იორდანეს დასავლეთ სანაპიროდან განდევნა და „ჰამასმა" მყარად მხოლოდ ღაზას სექტორში მოიკიდა ფეხი. ღაზაში 2,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. პალესტინელების უმრავლესობა „ჰამასს" მხარს არ უჭერს, რადგან ისინი ტერორისტული მეთოდებით მოქმედებენ და პალესტინის განთავისუფლების მოძრაობის დისკრედიტაციას ახდენენ.

**– „ჰამასი" ბევრ სახელმწიფოს ტერორისტულ ორგანიზაციად ჰყავს გამოცხადებული, თუმცა მათთან დიალოგი დღესაც მიმდინარეობს. ამას როგორ ხსნით?**

– მათ აქვთ წარმომადგენლობა კატარში, რომელიც აშშ-ს თანხმობით არის შექმნილი. თავის დროზე, „ჰამასის" დამფუძნებელს, ახმედ იასინს ისრაელის სახელმწიფო ღიად აფინანსებდა კიდევაც. თუმცა, ერთი რამ არის, სპეცსამსახურების მიერ შექმნილი მსგავსი ავანტიურისტული პროექტები, ადრე თუ გვიან, კონტროლიდან შეიძლება გავიდნენ. ამის მაგალითი ბევრია: შამილ ბასაევი, ვაჰაბიტები, ისლამური სახელმწიფო, ალ ყაიდა, ბოკო ჰარამი, აუმ სენრიკო და ასე შემდეგ. აგენტები იღუპებიან ან სხვა უფრო მეტ ფულს უხდის და ასე შემდეგ.

**– რას ემსახურებოდა „ჰამასის" ტერორისტული თავდასხმა ისრაელის მოსახლეობაზე და ვინ შეიძლება იდგეს ამ თავდასხმის უკან?**

– რთული სათქმელია. ბევრი ირანს ახსენებს, ირანი ლიბანური „ჰესბოლას" მეგობარია. ირანი შიიტურია, „ჰამასი" კი სუნიტები არიან. ამბობენ, კატარი აფინანსებსო, მაგრამ კატარი ანგლოსაქსების გარეშე ერთ ნაბიჯს არ დგამს. ეს ის შემთხვევაა, როცა ჯობია შედეგების მიხედვით ვიმსჯელოთ. ვნახოთ, რა შედეგი გვაქვს დღეს ან რა შედეგებს უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში. „ჰამასმა" დაუნდობელი ტერორისტული თავდასხმა განახორციელა და ასობით მშვიდობიანი მოქალაქე მოკლა. მსოფლიო შოკში ჩავარდა და ისრაელს სრული სოლიდარობა გამოუცხადა. არაბული და ისლამური ქვეყნებიც კი მკაფიო პოზიციას ვერ გამოხატავენ...

შემდეგ ისრაელმა ღაზას სექტორის დაბომბვა დაიწყო, სადაც ასევე მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა, თანაც დღეისთვის უკვე 8-ჯერ მეტი. ვფიქრობ, რომ ვინც „ჰამასს" თავდასხმა შეუკვეთა, ისრაელისგან სწორედ ასეთ ნაბიჯს ელოდა. ისრაელი ცნობილია იმით, რომ ტერორისტებთან უკომპრომისოდ იბრძვის და მთელ თავის ძალას მტრის წინააღმდეგ იყენებს. აიკიდოს პრინციპი გამოიყენეს ისრაელის წინააღმდეგ. ვაკვირდებით, რომ მსოფლიოში დღეს ტენდენცია შეცვლილია. სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი სოლიდარობას პალესტინელებს უცხადებს.

**– უკვე გაჩნდა მოწოდებები და აგრესიული ქმედებები ებრაელების მიმართ ბევრ ქვეყანაში...**

– ვნახეთ, რა ხდებოდა დაღესტანში; ვნახეთ, ბრიტანულმა „ბიბისიმ" ისრაელის ყოფილ პრემიერ ბენეტს ეთერი როგორ გაუთიშა. დუღილია ამერიკის, ბრიტანეთის, ევროპის, ისლამური ქვეყნების ქუჩებში. ეს ყველაფერი ანტისიონისტურ და ანტისემიტიზმის ნოტებსაც ატარებს. ისრაელი წინასწარ გამოთვლილი შესაძლო ქმედებების ალგორითმის გამოყენებით გადაჩეხეს ამ სცენარში. ეს პროცესი არ გაჩერდება. ანტიებრაული ემოციები მრავალ ქვეყანაში გაიზარდა. იქნებ, სწორედ ეს იყო მიზანი იმ ძალებისა, ვინც „ჰამასს" შეტევის ბრძანება მისცა. პარალელურად, ვხედავთ, რომ რუსეთშიც ეს პროცესია დაწყებული: ცნობილ ოლიგარქებს მოსკოვი და ლონდონი ერთობლივად „ატყავებენ" და ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ აღარ იციან სად წავიდნენ. აგერ, ცნობილ პროპაგანდისტ სატანოვსკის ნერვებმა უმტყუნა და ცენტრალური არხიდან პანღურით გააგდეს. რამდენიმე თვეში სხვებიც მიჰყვებიან.

**– რას უნდა ველოდოთ ამ პროცესებიდან გამომდინარე?**

– მზადდება დიდი შეტევა მსოფლიო ოლიგარქიული კლანების და რადიკალური გლობალისტების წინააღმდეგ. ...ეს ის ხალხია, ვინც მსოფლიოს უკუღმართი ფსევდოლიბერალური იდეოლოგიით წამლავს და პლანეტარული მასშტაბის სპეცოპერაციებს ატარებს. ამ შეტევის უკან უნდა მოვიაზროთ ტრამპის ბანაკი, ანუ კონსერვატიული ამერიკა, ბრიტანეთის არისტოკრატია, ევროპული ტრადიციული არისტოკრატიული ოჯახები, რუსეთის „სილოვიკები", ჩინეთის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა.

ახლა შეტევის მოსამზადებელ ფაზას ვაკვირდებით. დიდი „წმენდა" მომავალ წელს დაიწყება.

**– რატომ მომავალ წელს?**

– ბევრ ქვეყანაში არჩევნების წელია. ნოემბერში ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებია, მარტში რუსეთის პრეზიდენტის, იანვარში ტაივანის პრეზიდენტის, ივნისში ევროპარლამენტის, მარტში უკრაინის პრეზიდენტის (თუ არ გააუქმეს). მოკლედ, საჭადრაკო დაფაზე ფიგურები ახალი მანდატებით განლაგდებიან და უფრო მეტი ინტენსივობით დაიწყება „დიდი თამაში"-ს შემდეგი ეტაპი.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**



## ირაკლი კობახიძე:

# კაცი ოპოზიციონერები ხშირად ხმას არ იღებენ, საუბრობენ მხოლოდ ქალები!



**ირაკლი გერაიას გადადგომის მოთხოვნა აბსოლუტურად არასერიოზულია. მან იმ განცხადების გამო სინანული გამოხატა, რომელიც სხდომათა დარბაზში გააკეთა,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

**„ახლა ოპოზიციონერი დეპუტატების ჯერია. მათ უმრავლესობის წევრებისთვის ბევრ რამეზე აქვთ ბოდიში მოსახდელი, თუმცა დარწმუნებული ვარ, ღირსება არ ეყოფათ. ღირსება არ აქვთ, ბოდიში მოიხადონ იმ უზრდელური და შეურაცხმყოფელი განცხადებებისთვის, რომლებსაც ჩვენი ოპოზიციონერები აკეთებდნენ, დაწყებული სალომე ზურაბიშვილით, თეონა აქუბარდიათი დამთავრებული.**

**წარმოიდგინეთ, პრეზიდენტი უზრდელობს. როგორ შეიძლება, პრეზიდენტმა იუზრდელოს? ან პარლამენტის ქალი დეპუტატები უზრდელობენ. ეს ყველაფერი უზრდელობაა და არა პოლიტიკური შეფასება. როცა დეპუტატებს პოლიტიკურ შეფასებას ვაძლევ, ეს სხვა რამეა და როცა ვიღაცები უზრდელური განცხადებებით გამოდიან, ეს – სხვა. ზოგადად, პარლამენტს არ შეშვენის არც შეურაცხმყოფელი განცხადებები, არც ამ მასშტაბის აგრესია და ასე შემდეგ. ესეც ძალიან სამწუხაროა. შეიძლება, თითოეულ ჩვენგანს ამაში გარკვეული წვლილი ჰქონდეს შეტანილი, რაც ძალიან ცუდია.**

**სამწუხაროა, რომ პარლამენტის შიგნით ამ ყველაფერში განსაკუთრებულ როლს ქალი ოპოზიციონერი დეპუტატები ასრულებენ. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ მეტი ქალი პარლამენტში ნაკლებ აგრესიას ნიშნავდა, თუმცა პირიქით ხდება. კაცი ოპოზიციონერები ხმას არ იღებენ, ქალი ოპოზიციონერი დეპუტატები საუბრობენ. უფრო მეტიც, კაცი დეპუტატები ოპოზიციიდან ქალ დეპუტატებს იფარებენ. ორივე სუსტია. კაცები რომ ჩუმად არიან, ეს მათი სისუსტეა და ქალები რომ უზრდელობენ, ესეც მათი სისუსტეა. როცა აქუბარდია, სამნიძე და სხვები უზრდელობენ, ესეც მათი სისუსტის გამოვლინებაა.**

**ზოგადად, უზრდელობა სისუსტის გამოხატულებაა და როცა ბოდიშს არ იხდი, ესეც სისუსტის გამოხატულებაა. უზრდელები უნდა მოვიკითხოთ იმ პარტიაში, რასაც კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ ჰქვია, ეს პოლიტიკური პარტია ქალიან-კაციანად უზრდელობენ, სავსეა უზრდელებით“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## ილია დარჩიაშვილი:

# მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ბერბოკს იმისთვის, რომ გვაქვს შესაძლებლობა ვისაუბროთ საქართველოს ევროპულ მომავალზე



**მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კოლეგას, ქალბატონ ბერბოკს, იმისთვის რომ გვაქვს შესაძლებლობა ვისაუბროთ საქართველოს ევროპულ მომავალზე, გაფართოების პაკეტის მნიშვნელობაზე, ზოგადად, ევროკავშირის როლზე აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით.**

**მახარებს, რომ ვართ ამ დისკუსიების ნაწილი და ვმონაწილეობთ იმ საინტერესო განხილვებში, რომლებიც გვექნება ამ მიმართულებით,** – ამის შესახებ ილია დარჩიაშვილმა ბერლინში, ევროკავშირის გაფართოებისადმი მიძღვნილი კონფერენციის გახსნამდე ჟურნალისტებს განუცხადა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულებას გაუსვა.

**„რეფორმების პროცესი არ არის ერთ ან ორწლიანი ფაზა, ეს მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას, წლებს, იმისთვის რომ ქვეყანამ სრულფასოვნად განახორციელოს რეფორმა ყველა მიმართულებით. ჩვენც წლების განმავლობაში ამ ლოგიკით ვახორციელებთ ჩვენს ამბიციური რეფორმების დღის წესრიგს. ძალიან დიდი შრომა იყო გაწეული, იმისთვის რომ საქართველოს 12 პუნქტის მიმართულებით ხელშესახები შედეგი ჰქონოდა. ეს ნაბიჯები გადავდგით და, შესაბამისად, ვფიქრობთ ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ქვეყანამ.**

**ორმხრივ ფორმატში საქართველო-ევროკავშირი დინამიკურად ვმუშაობთ და მეორე მხრივ, ჩვენს პარტნიორებთან, წევრ ქვეყნებთან ვმუშაობთ ძალიან აქტიურად და ამ შესაძლებლობასაც გამოვიყენებთ იმისთვის, რომ ჩვენს პარტნიორებს ვესაუბროთ“,** – აღნიშნა მინისტრმა.

# „კანონისა და წესრიგის გლობალური ანგარიშის“ მიხედვით, საქართველოს ინდექსი გაუმჯობესდა!

**საერთაშორისო კვლევითმა ორგანიზაცია „Gallup-მა „კანონისა და წესრიგის“ ყოველწლიური გლობალური ინდექსი გამოაქვეყნა.**

„Gallup“-ის კვლევა 2022 წლის 8 აგვისტო-31 ოქტომბრის პერიოდში ჩატარდა და პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, 1000 რესპონდენტი გამოიკითხა. ინდექსი ეფუძნება სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ გამოკითხვას, რომლის საშუალებითაც შეფასებულია ადამიანების პირადი უსაფრთხოება, დაცულობის შეგრძნება და მათი ნდობის ხარისხი სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართ.




კვლევის შედეგების მიხედვით, 2022 წლის ანგარიშთან შედარებით, წელს საქართველოს ინდექსი გაუმჯობესებულია და 87 ქულას შეადგენს. საქართველო მინიჭებული ინდექსის მიხედვით, უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორებიცაა: საფრანგეთი, იტალია, ავსტრალია, უნგრეთი, ბელგია, კანადა, იაპონია, ხორვატია და სხვა. ამავე კვლევის თანახმად საქართველო ადგილს ისეთი ქვეყნების გვერდით იკავებს როგორებიცაა ავსტრია, ნიდერლანდები და ჰონგ-კონგი. ასევე, საქართველოს მაჩვენებელი მხოლოდ 1-2 ქულით ჩამოუვარდება გერმანიის, შვედეთის, პორტუგალიის, ესტონეთის და ესპანეთის მაჩვენებელს.

# შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი მიგრანტების ხარჯზე იზრდება!

**ირკვევა, რომ 2022 წელს შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი რუსეთიდან მიგრანტების ხარჯზე გაიზარდა. საქართველოს მოქალაქეები სამსახურს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებენ, ხოლო მათ ადგილს უცხო ქვეყნის მოქალაქეები იკავებენ. თუმცა, ესეც დროებითი მომენტია, რადგან ისინი საომარი მოქმედებების გამოისობით შემოსული ადამიანები არიან, რომლებიც მცირე ხნით აპირებენ ქვეყანაში დარჩენას. მათმა ნაწილმა უკვე დატოვა კიდეც საქართველო.**

ეკონომიკის ექსპერტმა **მურად მიქელაძემ** საქართველოში უმუშევრობის სტატისტიკის ახალ მონაცემებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლებიდან ძალიან ბევრი საზღვარგარეთ სამუშაოდ წავიდა.

**„როდესაც უმუშევრობაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ სამი პარამეტრი. 1. სამუშაო ძალა, ანუ შრომისუნარიანი მოსახლეობა, 2. დასაქმებულთა რაოდენობა 3. უმუშევართა რაოდენობა.**

**2022 წლის სტატისტიკის მიხედვით, გვაქვს დადებითი ტენდენციები. შრომისუნარიანი მოქალაქეების რიცხვი გაზრდილია დაახლოებით 12 000-ით, დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია 66 000-ით და უმუშევართა რაოდენობა შემცირებულია 48 000-ით.**

**ეს რიცხვები საკმაოდ კარგად გამოიყურება, თუმცა საყურადღებოა ის, თუ რა დგას ამ რიცხვების უკან. მაგალითად, სამუშაო ძალას თუ განვიხილავთ, მისი მოცულობა მუდმივად მცირდებოდა ბოლო 7-8 წლის განმავლობაში. 2021 წელს ამ კუთხით მცირედით გაუმჯობესდა ვითარება, როცა 2020 წელს დაწყებული პანდემიის შემდეგ, ემიგრანტების გარკვეული ნაწილი საქართველოში დაბრუნდა. 2022 წელსაც გაიზარდა შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი და ესეც მიგრაციას უკავშირდებოდა, ოღონდ, არა საქართველოს მოქალაქეების, არამედ ძირითადად, რუსეთ-უკრაინის ომის გამო საქართველოში შემოსული რუსი მიგრანტების ხარჯზე. რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეებს, 2022 წელს 46 000-ზე მეტმა ადამიანმა დატოვა საქართველო, მეორე მხრივ კი შემოვიდა 56 000 რუსი მიგრანტი, ვინც ქვეყანაში დარჩა და მათ გამო გაიზარდა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა“,** – განაცხადა მურად მიქელაძემ.

მისი განმარტებით, აღნიშნულ სტატისტიკაში აღირიცხებიან ის ადამიანები, ვინც საქართველოში ცხოვრობენ ან აპირებენ 1 წლის განმავლობაში ცხოვრებას.

რაც შეეხება დასაქმებული ადამიანების რაოდენობის ზრდას, ეს პარადოქსია, რადგან თუ საქართველოში სამუშაო ადგილები იქმნება, მაშინ საქართველოს მოქალაქეებს საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა არ უნდა უწევდეთ.

**„ემიგრაციაში, ძირითადად, ის ადამიანები მიდიან, ვისაც შრომის უნარი აქვს. დასაქმებულთა რაოდენობა რომ 66 000-ით გაიზარდა, ვინ არიან ეს ადამიანები, ვინც დასაქმდნენ? ფაქტია, რომ უმრავლესობა საქართველოს მოქალაქე არ არის, რადგან 2021-2022 წლებში ჯამში 87 000-მა საქართველოს მოქალაქემ დატოვა ქვეყანა და ეს ერთად აღებული გორის და კიდევ ერთი მუნიციპალიტეტის რაოდენობაა“,** – აღნიშნა ეთერში მიქელაძემ.

ექსპერტის განცხადებით, რუსეთის მოქალაქეებიდან, 2022 წელს, 14 000 კაცი ინდმეწარმედ დარეგისტრირდა, ასევე 1000-ზე მეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაფუძნდა, სადაც დასაქმებული რუსები და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდაც ამან განაპირობა.



ასეთი შეუსაბამო ვითარების ფონზე დამსაქმებლებს შორის კონკურენცია სულ უფრო მზარდია. ბიზნესსექტორი ცდილობს, სასურველი კანდიდატები გაზრდილი ანაზღაურებით მოიზიდოს. გარდა ამისა, სულ უფრო მეტი კომპანია უთითებს განთავსებულ ვაკანსიებში ანაზღაურებას, რაც ადრე არც ისე ხშირად ხდებოდა. წლიური ზრდის ტრენდს ინარჩუნებს დასაქმების პორტალებზე განთავსებული ვაკანსიების რაოდენობაც.

SS.ge-ს დასაქმების კატეგორიის განვითარების მენეჯერის **ანა ჩაჩანიძის** თქმით, პანდემიის დროს, კვალიფიციური კადრების თითქმის ორწლიანი გადინების შემდგომ, დღეს მათი შევსების პროცესი კომპანიებში ზოგ შემთხვევაში წარმატებულად, ზოგიერთ შემთხვევაში კი ნაკლებად წარმატებულად მიმდინარეობს.

**„კადრების დეფიციტის გამო, დამსაქმებლებს შორის გამძაფრებულია კონკურენცია, რის გამოც მათ უწევთ ხელფასების გაზრდა და ამ გზით ცდილობენ, კანდიდატები მოიზიდონ. დამსაქმებლებს სასურველი კანდიდატების მოძიება განსაკუთრებით დაბალ და საშუალო ხელფასიან პოზიციებზე უჭირთ, რადგან პოტენციური დასაქმებულების სურვილი დამსაქმებლის სურვილს არ ემთხვევა ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ამ მიზეზების გამო, სხვადასხვა სექტორში, ბოლო 1 წელში, საშუალო ხელფასები დაახლოებით 15-20%-ითაა გაზრდილი.**

**კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ისაა, რომ შეიცვალა კომპანიების ქცევა. მათ დიდ ნაწილს, კერძოდ, 60-70% პროცენტს ანაზღაურება უკვე მითითებული აქვს ვაკანსიებში, რაც ადრე არ ხდებოდა“,** – აღნიშნა ანა ჩაჩანიძემ.

მისივე ინფორმაციით, მიმდინარე წლის ზაფხულში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, მათ ვებ-გვერდზე ვაკანსიების რაოდენობა 23%-ით გაიზარდა და 12-13 ათასი შეადგინა.

**ბექა დანელია**



გელა ზედელაშვილი:

# იქმნება უმადურთა და მოღალატეთა კიდევ ერთი პარტია!










**ამას წინეგზე ირაკლი კოგახიძემ თქვა, „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებში 2024 წელსაც გაიმარჯვებს და 2028 წელსაცო. ზოგიერთ ურწმუნო თომას ემცხეთა, ეს როგორ და რანაირადო? – იკითხა მავანმა. რამდენიმე მათგანი უმალ დავამშვიდე – „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებში 2032 წელსაც გაიმარჯვებს და 2036 წელსაც. შემდეგ კი ხელისუფლებაში მოვა ახალი თაობა ახალი სახელწოდებით, რომელიც „ქართული ოცნების“ წიაღიდან იქნება აღმოცენებული-მეთქი.**

* * *

რა მაძლევს იმის საფუძველს, რომ ვამტკიცო, 2036 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს?

როგორც ამ დღეებში გახდა ცნობილი, **სალომე ზურაბიშვილსა** და **გიორგი გახარიას** თავიანთი პატრონები ახალ პარტიას აქმნევინებენ. კი მაგრამ, რა პერსპექტივა აქვთ პოლიტიკური თვალსაზრისით ამ გაქსუებულ მოღალატეებს? ხომ იმთავითვე ცხადია, რომელ პარტიაშიც უმადურები და მოღალატეები „იუმფროსებენ“, წევრებადაც უმადურები და მოღალატეები უნდა შეიყარონ – მაგალითად, **ნინო ლომჯარია,** რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ გააომბუდსმენა, დაბანა, ჩააცვა, დაახურა და ბეწვიც დაუბწკინა... როგორც ავი ენები ამბობენ, შემდეგი იქნება **ვიქტორ ყიფიანი,** რომელსაც ბიძინა ივანიშვილმა ადვოკატობა ანდო, მაგრამ შეატყო რა დიდი ოღრაშობა, დაითხოვა.

ახალი პარტიის სიას ასევე დაამშვენებენ **თამარ ჩუგოშვილი** (ეს თავის სადაქალოსაც შეყრის, როგორც „ქართულ ოცნებაში“ გააკეთა), **ეკა ბესელია** (ეს **გედეონა ფოფხაძეს** დაიდევნებს, ყველგან ერთად „დამოღვაწეობენ“ ალაკუტა-მალაკუტასავით) და სხვა „დაპაშოლებულები“, მე თქვენ გეტვით, ცოტანი არიან თუ?!

* * *

ალბათ დამეთანხმებით, **სალომე ზურაბიშვილი და გიორგი გახარია საოცრად უხდებიან ერთმანეთს.** თუმცა, როგორც ცნობილია, ყველა პროდუქტს შეზავებისას არ გააჩნია სასარგებლო თვისებები. მეტიც, ხშირად ნაზავი შხამადაც კი გარდაიქმნება. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ქალბატონი სალომე სიტყვა „კანალიზაციას“ დადებითი მნიშვნელობით იყენებს და იმედია, ამ შედარებასაც ცუდად არ გაიგებს – **ზურაბიშვილი და გახარია ზუსტად ისე უხდებიან ერთმანეთს, როგორც შარდი და განავალი.** უკაცრავად, ვიცი, ცოტა რთული წარმოსადგენია, მაგრამ სხვა გზა არ არის, სიმართლე უნდა ითქვას. განა თქვენ სხვანაირი ასოციაცია გაგიჩნდებათ, როცა მათ ერთად დაინახავთ ე.წ. პოლიტიკურ პოდიუმზე?! შესაბამისად, მათი პარტიაც ისევე ჩაირეცხება 5-პროცენტიან ბარიერს ქვემოთ, როგორც ამ ორი „პროდუქტის“ ნაზავი ჩაირეცხება ხოლმე.

* * *

იცით, მე ის კი არ მიკვირს, სალომე ზურაბიშვილმა, გიორგი გახარიამ, ნინო ლომჯარიამ, ეკა ბესელიამ, თამარ ჩუგოშვილმა და მათთანებმა რომ პარტიის შექმნა და პარლამენტში მოხვედრა მოინდომეს, მე უფრო იმ ე.წ. პატრონებისა მიკვირს, ვინც ამ „ვოზდუხებში“ ჯერ ფულს ხარჯავს, შემდეგ კი – დროსა და ენერგიას. ვერ ვიგებ და ვერც ვერასდროს გავიგებ, თუ ფული და ენერგია გაოხრია, ეგეთ დუპლეტებში რატომ უნდა ჩადო? წადი, რა, ფერმა ააშენე, ხალხი დაასაქმე, ძროხები მოამრავლე, წველადობა გაზარდე, ფაფა მოადუღე, ჭამე, ფისი ქენი, დაიძინე... სულაც, მაწონი ჩაადედე, გაყიდე, ბიზნესი განავითარე. აბა, მელობიე სალომესა და ჩოილარ გახარიაზე „სტავკას“ რომ დებ, ნამჯა არ გიყრია თავში?!

* * *

ეს უცხოელები კიდე ჩვენგან დეპოლარიზაციას და დეოლიგარქიზაციას რომ ითხოვენ, რატომ ვერ ამჩნევენ, რომ ჩვენ სხვა რაღაცები უფრო გვჭირდება? სად არის მათი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა? დიახ, ჩვენ, მაგალითად, დღეს „დეკანალიზაცია“ უფრო გვჭირდება, ვიდრე ზემოთ ნახსენები წვრილმანები. **რა, ქართული პოლიტიკა რომ ფეკალიებისგან არის გასაწმენდი, არ მეთანხმებით?** რა თქმა უნდა, მეთანხმებით და ტაშსაც კი მიკრავთ.

* * *

რამდენიმე დღის წინ ეკა ბესელიამ 5-პროცენტიანი ბარიერის დაწევა მოითხოვა. ამაზე ბევრი ვიცინე. საინტერესოა, რამდენზე უნდა დაიწიოს ბარიერმა, რომ ეკა ბესელია გადეპუტატდეს? 3 პროცენტამდე? 2-მდე? 1-მდე? 0,01-მდე? შანსი არ არი, სულაც 0,01-მდე რომ დასწიონ ბარიერი, ეკა ბესელია მაინც ვერ შევა პარლამენტში. ასევე არიან დანარჩენებიც – **გაიხსენეთ, სანამ ბიძინა ივანიშვილის სურათები არ გამოჩნდა მის ბილბორდებზე, ვერა და ვერ გავათრიეთ პრეზიდენტად.** რაც შეეხება „ვოზდუხა“ გახარიას, სჯობს, თავის ძაღლს მიხედოს და „ტიკ-ტოკში“ იჯღანაოს.

...დიახ, 5-პროცენტიანი ბარიერი არ შემცირდება და ეს იქნება საწინდარი იმისა, რომ ნაგავი, რომელიც ბლომად დაგროვდა ქართულ პოლიტიკაში, უთუოდ ჩაირეცხება.

**ეგ არი და გორის ციხე... საიდანაც ჩვენ მოგესალმებით 2036 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთანავე!**



თეიმურაზ ქორიძე:

## ნიკა გვარამიას „ტელემოღვაწეობას“ არავითარი საერთო არა აქვს, ზოგადად, ჟურნალისტიკასთან

ჟურნალისტი **თეიმურაზ ქორიძე** ნიკა გვარამიას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სოციალურ ქსელში ეხმიანება.

**„ნიკა გვარამიამ სიამაყით გვამცნო, 7 ნოემბერს ბრიუსელში მივდივარ, მერე იქიდან აშშ-ში, ჟურნალისტური ოსკარით მაჯილდოებენო.**

**დაუჯერებელი, საეჭვო ინფორმაციაა, მაგრამ თუ ეს მართალია, „მეგობარ“ ამერიკას ძალიან მდარე და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია ჟურნალისტიკაზე. ვამბობ სრული პასუხისმგებლობით – გვარამიას (და კიდევ ბევრი მისნაირის) „ტელემოღვაწეობას“ არავითარი (არავითარი!) საერთო არა აქვს, ზოგადად, ჟურნალისტიკასთან.**

**მხოლოდ მის ნაძალადევ და უადგილო ენაბილწობას არ ვგულისხმობ – გვარამია მაშინაც არაჟურნალისტია, როცა თუნდაც ფილოსოფიურ აზრებს აფრქვევს და მსმენელ-მაყურებლებს ფაქტების ნაცვლად აღქმებით აზროვნებისკენ მოუწოდებს.**

**აი, ამერიკელები გარეწრობისთვის თუ დააწესებენ რაიმე პრემიას და მეგობარ ქართველ ტელემოლაყბეებს დააჯილდოებენ, ხმას როგორ ამოვიღებ!“**



იოსებ ჭუმბურიძე:

## პრეზიდენტის გულისამრევი ფარისევლობა...

ჟურნალისტი **იოსებ ჭუმბურიძე** პარლამენტში ირაკლი ბერაიას მიერ თეონა აქუბარდიას შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოხსენიებას სოციალურ ქსელში ეხმაურება.

**„ბილწსიტყვაობა იმდენად უცხო და მიუღებელია ჩემთვის, რომ ზოგჯერ, ამის გამო, მრცხვენია კიდეც.**

მაგრამ ახლა აუცილებლად უნდა ვიკითხო: **იქ, სადაც ნიკა პრეზიდენტ სალომეს „ყ...ქალას“ უწოდებს, ირაკლისაგან თეონას მიმართ გამოყენებული ეპითეტები ვინმეს გულწრფელად აღაშფოთებს?!**

* * *

**თვითონ პრეზიდენტად წოდებულის, გვარამიას შემწყალებლის „აღშფოთება“ ხომ მართლაც გულისამრევია – სიყალბისა და ფარისევლობის იშვიათი ნიმუში“!..**

## „გაცოფებული“ ალეკო ელისაშვილი დარბაზიდან გააძევეს



**პარლამენტის სხდომა 1 ნოემბერს ხმაურითა და სიტყვიერი დაპირისპირებით გაიხსნა. დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვა.**

„მოქალაქეების“ ლიდერმა განაცხადა, რომ სამარცხვინოა, „თავდაცვის კოდექსში“ ცვლილებები იმ ფონზე იხილებოდეს, როცა პარლამენტის შესაბამის კომიტეტს, ირაკლი ბერაია ხელმძღვანელობს. სწორედ ამ განცხადებას მოჰყვა სიტყვიერი დაპირისპირება, რის შემდეგაც, ელისაშვილი პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხდომათა დარბაზიდან გააძევეს.

## ნიკა მელია, ზვიად კუპრავა და ბაჩო დოლიძე სასამართლომ 2 000 ლარით დააჯარიმა

**თბილისის საქალაქო სასამართლოში ნიკა მელიას, ზვიად კუპრავასა და ბაჩო დოლიძის საქმეზე გადაწყვეტილება გამოცხადდა.**

**მოსამართლე ნათია გუსკაძემ ნიკა მელია, ზვიად კუპრავა და ბაჩო დოლიძე 2000-2000 ლარით დააჯარიმა.**

მოსამართლემ სამივე მათგანი წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო. შეგახსენებთ, თბილისის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა, ირაკლი ეძგვერაძემ 22 სექტემბერს განაცხადა, რომ მას გლდანში, საკუთარ სახლთან თავს დაესხნენ. მოგვიანებით კი ადგილზე ვითარება დაიძაბა. გლდანში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და სამართალდამცველებს შორის დაპირისპირებისას პოლიციამ სამი პირი, პარტიის წევრები: ნიკა მელია, ზვიად კუპრავა და ბაჩო დოლიძე დააკავა. ისინი ადმინისტრაციული წესით იყვნენ დაკავებული. 24 სექტემბერს ნიკა მელია, ბაჩო დოლიძე და ზვიად კუპრავა სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს...

## „ტაიმი". ჟურნალისტი საიმონ შუსტერი:

# მოკავშირეებმა ზელენსკის უღალატეს!

**„ტაიმი" აქვეყნებს ვრცელ სტატიას იმ პრობლემების შესახებ, რომლებსაც უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ომის მიმდინარეობისას აწყდება, მათ შორის ფრონტზე შექმნილი ვითარების, საერთაშორისო მხარდაჭერისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ჟურნალი სექტემბერში უკრაინის პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტს აღწერს.**

სტატიის ავტორის, საიმონ შუსტერის მტკიცებით, აშშ-ში უკრაინის დახმარებისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერა მცირდება და ზელენსკის ბოლო ვიზიტმა მოსალოდნელი შედეგები ვერ გამოიღო.

როგორც ზელენსკიმ გამოცემასთან ინტერვიუში თქვა, ის გრძნობს დაღლილობას მუდმივი საჭიროების გამო, დაარწმუნოს თავისი მოკავშირეები, რომ მათი დახმარებით უკრაინას შეუძლია გამარჯვება.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ მდგომარეობა სულ უფრო რთული ხდება. ომის დაწყებიდან 20 თვის შემდეგ უკრაინის ტერიტორიის მეხუთედი ნაწილი რუსეთის ოკუპაციის ქვეშ რჩება, ათობით ათასი სამხედრო და მშვიდობიანი მცხოვრები მოკლულია და თავისი ვიზიტების დროს ზელენსკი გრძნობს, რომ ომის მიმართ გლობალური ინტერესი და საერთაშორისო მხარდაჭერის დონე შესუსტდა.

**„ომით დაღლილობა ტალღასავით მოდის. თქვენ ხედავთ ამას აშშ-ში, ევროპაში. და ჩვენ ვხედავთ, რომ როგორც კი მათ ცოტა დაღლილობა ეწყებათ, მათთვის ეს ხდება, როგორც შოუ: „მე ვერ ვუყურებ ამ გამეორებას მეათედ"**, – თქვა ზელენსკიმ გამოცემასთან.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ვაშინგტონიდან უკრაინის ლიდერს კიევში გაჰყვა. უკრაინის დედაქალაქში ვიზიტის პირველ დღეს კი მან პრეზიდენტის გარემოცვის ერთ-ერთ წევრს ჰკითხა, რას გრძნობდა ზელენსკი, რაზეც მას ყოყმანის გარეშე უპასუხა: „გაბრაზებას". უკრაინის პრეზიდენტის გუნდის სხვა წევრი კი გამოცემასთან ამბობს: ზელენსკი გრძნობს, რომ მისმა დასავლელმა მოკავშირეებმა უღალატეს, რადგან დატოვეს ომში გამარჯვების საშუალებების გარეშე და მისცეს მხოლოდ გადარჩენის საშუალებები.



თუმცა, როგორც „თაიმი" წერს, ზელენსკის რწმენა არ შეცვლილა. ბრძოლის ველზე ბოლო უკუსვლის მიუხედავად, ის არ აპირებს ბრძოლაზე უარის თქმას ან რამე სახის მშვიდობის თხოვნას. პირიქით, მისი რწმენა რუსეთზე უკრაინის საბოლოო გამარჯვებაში გაძლიერდა ისეთი ფორმით, რაც მისი ზოგიერთი მრჩევლის აღელვებას იწვევს.

**„ის თავს იტყუებს. ჩვენ ვარიანტები არ დაგვრჩა. ჩვენ ვერ ვიმარჯვებთ, თუმცა სცადეთ და უთხარით მას ეს"**, – განუცხადა ამერიკულ ჟურნალს ზელენსკის ერთ-ერთმა უახლოესმა თანაშემწემ, რომლის სახელსაც გამოცემა არ ასაჯაროებს.

ზელენსკის თანაშემწე მედიასაშუალებასთან აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის სიჯიუტე აზარალებს მისი გუნდის ძალისხმევას, შეიმუშაონ ახალი სტრატეგია, ახალი გზავნილი და რუსეთთან სამშვიდობო შეთანხმებაზე მოლაპარაკებების შესაძლებლობა ტაბუირებული რჩება. ბოლო გამოკითხვების თანახმად, უკრაინელთა უმრავლესობა უარყოფს ამგვარ ნაბიჯს.

ზელენსკი ეწინააღმდეგება ნებისმიერი სახის დროებით ზავს.

**„ჩვენთვის ეს ნიშნავს მომავალი თაობებისთვის ამ ჭრილობის ღიად დატოვებას. შესაძლოა, ამან დაამშვიდოს ზოგიერთი ადამიანი ქვეყნის შიგნით და გარეთ, ყოველ შემთხვევაში, მათ, ვისაც სურთ, ეს დაასრულონ ნებისმიერ ფასად. თუმცა ჩემთვის ეს არის პრობლემა, რადგან ჩვენთან დარჩება ეს ფეთქებადი ძალა. ჩვენ მხოლოდ მის დეტონაციას გადავავადებთ"**, – ამბობს ზელენსკი.

# „პოლიტიკო" – საფრანგეთს სურს, რომ ბრიუსელი უფრო სერიოზულად მიუდგეს კორუფციის პრობლემებს

**საფრანგეთს სურს, რომ ბრიუსელი უფრო სერიოზულად მიუდგეს ევროკავშირის მაღალჩინოსნების ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის პრობლემების გადაჭრას**, – ამის შესახებ გამოცემა **„პოლიტიკო"** წერს.

ევროპარლამენტის არჩევნების წინ, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და ევროკავშირის საკითხთა მინისტრი ლოურენს ბუნი მოუწოდებენ ევროკავშირის სხვა ქვეყნებს, მხარი დაუჭირონ დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს შექმნის გეგმას, რომელსაც ექნება მაღალჩინოსანთა შემოსავლების შემოწმების უფლებამოსილება.

საფრანგეთის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ამგვარი ორგანო უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე ევროკომისიის პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლაიენის მიერ ინიციირებული ეთიკის საკითხთა „უკბილო" ორგანო.

აღნიშნული ინიციატივა დღის წესრიგში ევროპარლამენტში ე.წ. კატარგეიტის სკანდალის შემდეგ დადგა.

**„ევროკომისიის შეთავაზება დასაწყისია, თუმცა, ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვიყოთ უფრო ამბიციურები. რამდენიმე კორუფციული სკანდალით გამოწვეული შოკის შემდეგ ჩვენ უნდა აღვადგინოთ მოქალაქეების ნდობა მათი ინსტიტუტებისადმი"**, – განუცხადა „პოლიტიკოს" **ბუნმა.**

„პოლიტიკოს" ინფორმაციით, მიმდინარე წელს ევროკომისიის რამდენიმე წევრმა დაფინანსებული ვიზიტები განახორციელა, ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა კი ავიაკომპანია QatarAirways-სგან უფასო ავიაბილეთები მიიღო, ვიდრე მისი გუნდი კატართან საავიაციო შეთანხმებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა. კიდევ ერთმა მაღალჩინოსანმა დეკლარაციაში არ შეიტანა კურორტ ბალიზე საკუთრებაში არსებული სასტუმრო.

პარიზში შიშობენ, რომ ბრიუსელი თვალს ხუჭავს ევროპელთა მზარდ უნდობლობასა და უკმაყოფილებაზე ევროკავშირში კორუფციასთან დაკავშირებით, რითიც სარგებლობენ რადიკალური პარტიები. ამასთან, გამოცემა აღნიშნავს, რომ ევროკომისიამ უკრაინას თანამდებობის პირების მიერ აქტივების სავალდებულო დეკლარირების შემოღება სთხოვა, თუმცა ბრიუსელი იმავე სტანდარტებს არ იყენებს თავისი მაღალჩინოსნების მიმართ.

**„ჩვენ გვჭირდება დამოუკიდებელი ორგანო კონტროლის რეალური საშუალებებით, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი სკანდალები"**, – განაცხადა ევროკავშირის საკითხებში **საფრანგეთის მინისტრმა**.

ბუნმა აღნიშნა, რომ ეს ორგანო, შესაძლოა, ჩამოყალიბდეს საფრანგეთში მოქმედი საჯარო ცხოვრების გამჭვირვალობის უმაღლესი ორგანოს მაგალითის მიხედვით, რომელიც საჯარო მოხელეების საბანკო ანგარიშებს, აქტივებსა და შემოსავლებს სწავლობს, რათა გამორიცხოს ინტერესთა კონფლიქტი.



# ჯო ბაიდენი ვეტოთი იმუქრება!..



**ამერიკის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ვეტოს დაადებს პაკეტს, რომელიც პალატის რესპუბლიკელების მიერ ისრაელის დასახმარებლად (14,3 მილიარდი დოლარი) წარმოადგინეს და სადაც უკრაინის დახმარება არ არის გათვალისწინებული,** – ამის შესახებ The Hill თეთრი სახლის განცხადებაზე დაყრდნობით იტყობინება.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა და სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადეს, რომ აშშ-ისა და ნატოს ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, უკრაინა შესაძლოა დამარცხდეს ამ ომში. ბლინკენმა აღნიშნა, რომ თუ აშშ შეწყვეტს უკრაინის დახმარებას, ევროპელი პარტნიორებიც, დიდი ალბათობით, შეწყვეტენ მათ მხარდაჭერას.

**„თუ პუტინს მიეცემა უფლება, განაგრძოს დაუსჯელი მოქმედება, ის არამარტო არ გაჩერდება უკრაინაში, არამედ პოტენციურად „გაემგზავრება" ნატოს მომავალ ქვეყანაში, რაც გვაიძულებს შევასრულოთ ნატოს ალიანსის მე-5 მუხლით ნაკისრი ვალდებულებები (ნატოს წევრი ყველა ქვეყანა ჩაერთოს რუსეთის წინააღმდეგ ომში). ეს ასევე გაუგზავნის სიგნალს აგრესორებს მთელს მსოფლიოში, რომ თუ მას შეუძლია თავი დააღწიოს ამას, ჩვენც შეგვიძლია და მაშინ, სავარაუდოდ, კონფლიქტებით სავსე სამყარო გვექნება და ეს არის სამყარო, რომელიც არ შეეფერება გაერთიანებას. სახელმწიფოებმა სჯობს ახლავე მხარი დავუჭიროთ ჩვენს ძალისხმევას წარმატების მიღწევით, ვიდრე მოგვიანებით გადავიხადოთ გაცილებით მაღალი ფასი, როცა მოგვიწევს აგრესიას ერთად გავუმკლავდეთ"**, – განაცხადა ენტონი ბლინკენმა.

# ჩრდილოკორეული ჭურვები საჩუქრად რუსეთს

**ჩრდილოეთ კორეამ რუსეთს ერთი მილიონი საარტილერიო ჭურვი გადასცა. სამხრეთკორეელ დეპუტატებთან დახურულ ბრიფინგზე ეროვნულმა სადაზვერვო სამსახურმა განაცხადა, რომ აგვისტოს შემდეგ ჩრდილოეთ კორეიდან რუსეთში ჭურვების დაახლოებით 10 პარტია გაიგზავნა.**

ჩრდილოეთ კორეამ რუსეთში ასევე გაგზავნა სამხედრო ინსტრუქტორები. ფხენიანის მიერ მიწოდებულ საბრძოლო მასალას რუსეთი დაახლოებით ორი თვის განმავლობაში გამოიყენებს. რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ ივლისის ბოლოს ვიზიტით ჩრდილოეთ კორეაში გაემგზავრა. მალე რუსეთმა ფხენიანში სამხედრო თვითმფრინავი გაგზავნა. ფხენიანს აქვს საარტილერიო ჭურვებისა და რაკეტების მსოფლიოში ყველაზე დიდ მარაგი, რომლებიც თავსებადია საბჭოთა პერიოდის იარაღთან, რომელსაც რუსეთი იყენებს უკრაინაში.



**კავკასიძეების გვარის პირველი ისტორიული ცნობა საქართველოში განეკუთვნება XI საუკუნეს, სადაც იხსენიება პეტრიკ კავკასიძე შემოქმედის (გურია) წარწერაში, ბაგრატ IV-ის პირველ მეუღლესთან, მარიამთან ანუ ელენესთან ერთად. კავკასიძეები პარხალის მფლობელნი იყვნენ და, როგორც ჩანს, ოთხთა ეკლესიაც მათი კუთვნილება იყო. პეტრიკ კავკასიძესთან ერთად ამ წარწერაში მოხსენიებულია მურვან კავკასიძეც.**



# კავკასიძეების ღვაწლი ქრისტიანული ისტორიული ძეგლების მშენებლობაში



კავკასიძეების ნაგები ციხე-კოშკები

**„სახელითა ღმრთისათა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისათა მე, მურვან კავკასიძემან, აღვაშენე ეკლესიაი ესე მე(ო)რედ განსრულებით, სალოცველად სულისა...“**

თქმულებებს და გადმოცემებს თუ დავეყრდნობით, კავკასიძეები აზონს შემოჰყოლიან ქართლში და ქვის მჭრელები ყოფილან აზნაურთა გვარიდან, პირველი კავკასიძე ანუ კალატოზიშვილი ყოფილა საბა ტაოელი აზნაური. – „აზონის ეპოქაში მცხეთის არმაზის აკროპოლისისა და აზონის სასახლის აშენებაში ღებულობდა მონაწილეობას. ფარნავაზის ეპოქაში მან სამეფოსა სახლის არზთა საცავი (ბიბლიოთეკა) ააშენა. შემდეგ იმ ტაოელ საბა ქვის მჭრელს, მეფე ფარნავაზმა კასპის ტერიტორიაზე, სადაც ბევრი სამშენებლო მასალა იყო, მიწა-მამულები უბოძა როგორც ყველა აზნაურს. როგორც აზონისეულ ხალხს, მასაც დაევალა იმ მიწებისთვის და იქ მცხოვრები ხალხისთვის ეპატრონა. ასეც მოხდა, საბა თავისი მცხეთელი ცოლითა და მრავალი შვილებით კასპის მიწაზე დასახლდა. გავიდა დრო და დიდად გამრავლდნენ საბას შთამომავლები, მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, ყველა ქვისმტეხთა, ქვისმჭრელთა, ქვისმთლელთა და კირითხუროთა სპეციალისტები იყვნენ. საბა, რადგან წარმომავლობით ტაო-კლარჯეთიდან იყო, ეგრეთწოდებული მცირე კავკასიიდან, ამიტომ საბას და მის შთამომავლობას კავკასიძეებად მოიხსენიებდნენ. IV საუკუნეში მეფე მირიანმა საქართველოში ქრისტიანობა მთავარ რელიგიად დაამკვიდრა და მისი ბრძანებით, ქვეყანაში დაიწყეს, ქრისტიანული ეკლესიების აგება, რაშიც საბა კავკასიძის შთამომავლობაც იღებდა მონაწილეობას.

დროთა განმავლობაში კავკასიძეთა მიერ აშენებული კასპი ძლიერ ციხე-ქალაქად გადაიქცა და ქალაქს ევალებოდა ლეხურის ხეობის ჩაკეტვა, რათა ჩრდილოელი დამპყრობლები არ შემოჭრილიყვნენ და არ აეოხრებინათ. კასპს თავისი სპასპეტი ჰყავდა, ჯარიც იდგა იქ და ეკლესია-მონასტრებში მწიგნობრობაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული. მეფე ვახტანგ გორგასალი, როდესაც სადმე მიდიოდა, თავისი ოჯახის წევრებს კასპში ტოვებდა საიმედოდ. როდესაც მეფე ვახტანგმა საქართველოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა, ახალი დედაქალაქის სამეფო ციხე-სასახლისა და ქალაქის ციხე-გალავნების ასაშენებლად კასპიდან კავკასიძეებიც წაიყვანა.

VIII საუკუნეში, არაბთა შემოსევის დროს, მურვან ყრუმ კასპი დაანგრია და მთლიანად მიწასთან გაასწორა. კავკასიძეების ნაწილი ისტორიულ სამშობლოში ტაოში დაბრუნდნენ და პარხალში (არტაანი-ართვინი) დასახლდნენ. ნაწილი კი კასპისა და ქარელის მიდამოებში გაიფანტნენ. (მეტეხში, კავთისხევ-იდლეთში, არადეთსა და წვერში).

საქართველოს აღორძინების პერიოდის ოქროს ხანაში ისინი უამრავი ციხისა და ეკლესია-მონასტრის აშენებაში მონაწილეობდნენ, განსაკუთრებით კი შიდა ქართლში.

XIV საუკუნის მიწურულს საქართველოს რვაჯერ შემოესია მრისხანე დამპყრობელი თემურ ლენგი, რომელმაც მთლიანად ააოხრა და გაანადგურა მთელი საქართველო.

XV საუკუნეში ქართლის მეფეების ბაგრატ VI და შემდგომ დავით X ეპოქაში, ხუროთმოძღვართა და არქიტექტორთა კეთილშობილი გვარის, კავკასიძეების ერთ-ერთი შტო მუშაობდა მტრისაგან განადგურებული თბილისის ისნის სამეფო სასახლის, ეკლესიებისა და ქალაქის ციხე-გალავნის აღმდგენ ხუროთმოძღვრებად. იმ პერიოდიდან მეფე დავით X- მ დაუდგინა მათ გვარი კალატოზიშვილი, რაც ნიშნავდა ბიზანტიური კულტურის გავლენით შექმნილ ახალ გვარს, ბერძნულად სიტყვა კალოს ნიშნავდა ლამაზს, მშვენიერს, მეორე სიტყვა დოტე ან დოტაცია ნიშნავდა მიცემას. ამდაგვარად ამ ორი სიტყვის შერწყმით გამოდიოდა კალოსდოტი, ესე იგი სილამაზის მომცემი, მშვენიერების შემქმნელი. რადგანაც კავკასიძეებს ქვის მტეხელებად მოიხსენიებდნენ და ისინი უამრავ ეკლესია-მონასტრებს აგებდნენ, სიტყვა კალოსდოტი, ქართულად ტრანსკრიპცია-ადაპტაციის შედეგად გახდა კალატოზი, რაც არქიტექტორის მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ საქართველოში. კავკასიძეთა ამ შტოს დაუწესდათ გვარი კალატოზიშვილი, მიეცათ სამეფო აზნაურის ტიტული, რაც ნიშნავდა იმას, რომ ისინი მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდნენ და მათ დაევალათ სამეფო ციხე-სასახლის მოვლა-პატრონობა და დაცვა. კალატოზიშვილების ნაწილი თელავის აღსადგენად გაიგზავნა. ნაწილი კალატოზიშვილებისა კი კუთვნილ მიწა-წყალს დაუბრუნდა კასპის რაიონში. მოგვიანებით, ნაწილი კალატოზიშვილებისა, რომლებიც მწიგნობრობასა და სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ სამეფო კარზე, სულხან-საბა ორბელიანის გვერდით, 1724 წელს რუსეთში გაჰყვნენ ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს და იქ იწოდებოდნენ თავად კალატოზიშვილ-კავკასიძეებად“.

კავკასიძეები ისტორიოგრაფიაში იხსენიებიან, როგორც ტაოს ერისთავები.

XVI საუკუნეში გგულფაიქ წმედისძის მინაწერში მოხსენიებულია ერისთავთ ერისთავი გიორგი კავკასიძე. მაგრამ საქართველოში იმ პერიოდისთვის, დადასტურებული ხუთი საერისთავოდან ვერცერთი საერისთავოს მმართველი ვერ იქნებოდა: ეს ხუთი საერისთავო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობდა. კავკასიძეთა საგვარეულო კი, რომელსაც ერისთავთ ერისთავი გიორგი კავკასიძე ეკუთვნოდა, ამ რეგიონებიდან ასეულობით კილომეტრის დაშორებით, ისტორიული საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ტაოს პროვინციაში შემავალ ასისფორის მხარეში სახლობდა. შესაბამისად, ოდიშის, გურიის, რაჭის, ქსნისა და არაგვის საერისთავოებთან რაიმე პირდაპირი ისტორიულ-გეოგრაფიული, სამხედრო-პოლიტიკური თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული კავშირი არ ჰქონდა.

ის საერისთავო, რომელსაც ერისთავთ ერისთავი გიორგი კავკასიძე განაგებდა, კავკასიძეთა ფეოდალური სახლის საცხოვრებელი არეალისა და XVI საუკუნის ქართული საერისთავოებისთვის დამახასიათებელი, ზემოთ აღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით, ტაოს პროვინციის ტერიტორიის მომცველი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო.

ამგვარად, დგინდება, რომ XVI საუკუნეში მოღვაწე ერისთავთ ერისთავი გიორგი კავკასიძე, რომელიც ტაოში მოსახლე კავკასიძეთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა, ტაოს პროვინციის მცველი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის ანუ ტაოს საერისთავოს გამგებელი იყო.

კავკასიძეებს რუსეთში თავადის ტიტული მიენიჭათ და მამულები მისცეს პოლტავისა და კურსკის გუბერნიებში. ხოლო 1737 წელს ჩარიცხეს იმპერატორის ამალაში.

ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან ირკვევა, რომ კავკასიძეები, მას შემდეგ, რაც დაკარგეს ტაოს ერისთაობა, სხვადასხვა თანამდებობებს ფლობდნენ სამეფო კარზე.

ვახტანგ VI-ის და ბაქარის კარზე ფლობდნენ მდივნის სახელოს. 1736 წელს ბაქარმა უბოძა თეზისა და თრიალეთის მოურავობა.

კავკასიძეთა თავადური შტოს ფუძემდებელი იყო ეფრემ კალატოზიშვილი და 1741 წლიდან ყველა საბუთში იხსენიება როგორც თავადი.

კავკასიძე-კალატოზის შვილები ფლობდნენ გერბს.

**ამჟამად კავკასიძეები საქართველოში 64 ადამიანისგან შემდგარი გვარია, ხოლო რუსეთში კავკასიძე-კალატოზოვები 3000 სულამდე ცხოვრობენ.**

**ტაოში არსებულ კავკასიძეების ციხე არსებობდა და სავარაუდოდ ის ციხე იცავდა დიდ ხეობას, სადაც ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ. ამჟამად ციხის ნანგრევები დაგუბებულმა მდინარის უზარმაზზარმა წყალსაცავმა დაფარა.**

**ლევან ბერაია,**

**ქართული გვარების მკვლევარი.**

# საგრანტო კონკურსების ხიბლი

**საქართველოს უნივერსიტეტები, ერთობლივი ორმაგი საერთაშორისო ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, 2,2 მილიონი აშშ დოლარით დაფინანსდებიან.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორებთან კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) მეორე საგრანტო კონკურსის პრეზენტაცია გამართა და მათთან ერთად პროექტის პრიორიტეტული მიმართულებები და თემატიკა განიხილა.

მათივე ცნობით, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ საგრანტო კონკურსი, ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ერთობლივი ორმაგი საერთაშორისო ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, საქართველოს უნივერსიტეტების 2,2 მილიონი აშშ დოლარით დაფინანსებას გულისხმობს.

მისი თქმით, ერთობლივი პროგრამების განხორციელების პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართული დამსაქმებლებიც და ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კიდევ უფრო გაძლიერებასა და ინტერნაციონალიზაციას. კონკურენტული ფონდის (CIF) საგრანტო კონკურსები, რომლებიც მსოფლიო ბანკის პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q“ ფარგლებში ტარდება, მიზნად ისახავს აკადემიური პროგრამებისა და სასწავლო გარემოს მოდერნიზებასა და შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერებას. ამასთან, ხელს უწყობს უნივერსიტეტების სტრატეგიული გეგმების განხორციელებას, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ეროვნულ მიზნებთან და სახელმწიფო პრიორიტეტებთან.

მეორე საგრანტო კონკურსი უნივერსიტეტების პროგრამების შემუშავება-განვითარებას მოიცავს ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა; ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა; სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია; განათლება; ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა. მეორე საგრანტო კონკურსი 2023 წლის 28 სექტემბერს გამოცხადდა. განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2023 წლის 24 ნოემბერი.





# მოსახლეობის მატების (თუ კლების) შოკი?!

(პირველი გვერდიდან) ადამიანის ასე სწრაფად გამრავლების სხვადასხვა მიზეზი სახელდება: ინტენსიური შობადობა, ჯანდაცვის გაუმჯობესება და ცხოვრების დონის ამაღლება, თუმცა, გააჩნია რეგიონს და ქვეყანას. მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ კითხვა გააჩინა: გაუძლებს კი დედამიწა ამდენ მცხოვრებს?

საინტერესო ფაქტია, რომ ეს შეკითხვა მხოლოდ დღეს კი არა, ყოველთვის აწუხებდა ადამიანს. ჯერ კიდევ, მეორე საუკუნეში, ცნობილი მწერალი და ღვთისმეტყველი კართაგენიდან, ტერტულიანე, წერდა, მოსახლეობა ისე იზრდება, დედამიწამ, შეიძლება, ვერც კი გაუძლოსო. ეს, მაშინ, როცა მსოფლიოს მოსახლეობა, მხოლოდ 300 მილიონს თუ აღწევდა. ასეთივე შეკითხვას სვამდა მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელი მეცნიერი თომას მალთუსიც, რომელმაც მთელი მიმდევრობა შექმნა. მალთუსიანელთა აზრით, მოსახლეობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, ხოლო საარსებო საშუალებები, მხოლოდ არითმეტიკულით, რაც სიღარიბეს, შიმშილსა და სხვა კატასტროფებს იწვევს. თანამედროვე დემოგრაფთა უმრავლესობა საკითხს უფრო ჰუმანურად და იმედიანად უდგება და ამბობს, რომ დედამიწას, 15-დან 16-მილიარდამდე ადამიანის გამოკვება ძალუძს.

მაშ, რატომ არსებობს დღემდე, დედამიწის ზურგზე მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პანიკური შიში? ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, ამის მიზეზი მსოფლიოში მოსახლეობის უთანასწორო გადანაწილებაა. ახლანდელი 8 მილიარდი ადამიანიდან, უმრავლესობა სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში ცხოვრობს, გაზრდილია შობადობა ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში. ამერიკისა და ევროპის მოსახლეობა, რუსეთის ჩათვლით, პირიქით, კლებულობს, რომლის მიზეზად შობადობის შემცირება სახელდება. ამის მიზეზი კი, მეტი თავისუფლებისა და ცხოვრების მაღალი ხარისხის მიმართ მათი ლტოლვაა. ევროპელი დემოგრაფები განგაშის ზარებს რეკენ, რადგან ევროპული მოსახლეობა სწრაფად ბერდება, და თუ იზრდება, მხოლოდ მიგრანტთა ხარჯზე.

მოსახლეობის არათანაბარი გადანაწილება, იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის ჭარბი რაოდენობაა, ბევრ პრობლემას იწვევს, მაგალითად, ბუნებრივი რესურსების ნაკლებობას. დემოგრაფიულად მზარდ აფრიკისა და აზიის რეგიონებში მწვავედ დგას წყლისა და საკვების პრობლემა. ნავარაუდევია, რომ ხალხის რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ, პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდება. გაეროს ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ მომავალში, ბუნებრივი რესურსების სიმწირის გამო, ამ რეგიონებში, შესაძლოა, ამბოხისა და ომის კერებიც კი გაჩნდეს. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის სისუსტეცაა. მყიფე ეკონომიკის შედეგია უმუშევრობა, რაც, თავის მხრივ, სიღარიბეს იწვევს. ძალიან დაბალ დონეზეა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, მართლაც მოსალოდნელია, რომ მოსახლეობის სიჭარბემ მსოფლიო დონის კრიზები გამოიწვიოს, მაგრამ მეცნიერები გვამშვიდებენ და ვარაუდობენ, რომ მსოფლიო მოსახლეობის მატება პიკს საუკუნის დასასრულს მიაღწევს, რის შემდეგ, უკუპროცესი, ანუ მოსახლეობის შემცირება დაიწყება. მხედველობაშია მისაღები გაუთვალისწინებელი, რთულად პროგნოზირებადი ფაქტორები: ეკოლოგიური კატასტროფები, პანდემიები და ომები. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნეში, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მეოცე ასწლეულში, მსოფლიოს ორი ხანგრძლივი სისხლიანი ომი ელოდა, რომელიც 100 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა და მსოფლიო დემოგრაფიასაც მკვეთრად შეცვლიდა.

**ცნობილმა კანადელმა ჟურნალისტმა და მწერალმა, ჯონ იბიტსონმა და ასევე სახელგანთქმულმა კანადელმა პოლიტოლოგმა დარელ ბრიკერმა მსოფლიოს ჭარბი მოსახლეობის საკითხებზე, 2019 წელს, წიგნი გამოაქვეყნეს, სათაურით, „ცარიელი პლანეტა: მოსახლეობის გლობალური კლების შოკი“. წიგნის ავტორები ამტკიცებენ, რომ მსოფლიოს არ ემუქრება მოსახლეობის ჭარბი ზრდა. პირიქით, პლანეტის მოსახლეობა მალე მკვეთრ კლებას დაიწყებს. მათი აზრით, პროცესები, რომელიც მოსახლეობის შემცირებას იწვევს, უკვე მოქმედებს, თუმცა, ჯერ არაა მკაფიოდ გამოხატული. მათი მტკიცებით, მსოფლიოს მოსახლეობა პიკს 2050 წელს მიაღწევს, რის შემდეგ მოსახლეობის რიცხვის შემცირება დაიწყება. მთავარი მიზეზი კი, ომები, შიმშილი და პანდემიები კი არა, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოში თანამედროვე ქალის როლის გაზრდა იქნება. თუ ადრე, შიმშილი და ეპიდემიები არეგულირებდა მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობას და თანამედროვე სამყარო მათთან გამკლავებას მეტნაკლებად ახერხებდა, სულ მალე, ადამიანი თავად დაარეგულირებს დედამიწის პოპულაციას.**

მთავარი მარეგულირებელი კი, ქალი აღმოჩნდა, რადგან სწორედ ქალია, ვისაც შეუძლია, პირდაპირი გავლენა იქონიოს შობადობაზე. ახალ თაობათა უმრავლესობისთვის, მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა ოჯახური და რელიგიური ტრადიციებისგან გათავისუფლება. მათთვის შვილის გაჩენა მხოლოდ თავისუფალი არჩევანის საკითხია, თანაც, საქმე იმაში კი არ არის, რომ შვილების აღზრდა ძვირია და დიდი დრო სჭირდება, რაც დასაქმებულ ადამიანს ძალიან ცოტა აქვს, არამედ, დღეს შვილების ყოლა თვითრეალიზაციის ერთ-ერთ ფაქტორად აღიქმება, რისთვისაც დიდი ძალისხმევაა საჭირო, და ამას ყველა ვერ ახერხებს. ამ ტენდენციაზე ზეგავლენის მოხდენა თავად ჩინეთსაც უჭირს, რომელსაც, დემოგრაფიულად, მალე, ინდოეთი წამოეწევა და, ალბათ, გაასწრებს კიდეც, რადგან ჩინელი ქალი, უკვე, ნაკლები რაოდენობის შვილს აჩენს. შობადობაზე, ასევე, მოქმედებს სოფლის მოსახლეობის შემცირება და ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის ზრდა.

წიგნის ავტორებმა ამ საკითხზე 26 ქვეყანაში ჩაატარეს სოციოლოგიური კვლევა. აღმოჩნდა, რომ ქალაქში მცხოვრებ ოჯახებს ნაკლები რაოდენობის ბავშვი ჰყავთ, ვიდრე სოფლად მცხოვრებთ. ქალაქში, მეტია კომფორტი, რაც მეტ თავისუფლებას ნიშნავს. თანამედროვე ოჯახთა უმრავლესობისთვის კი, თავისუფლება უფრო ძვირფასია, ვიდრე მრავალშვილიანობა. ევროპის ქვეყნების ქალები ყველაზე თავისუფალ ქალებად ითვლებიან პლანეტაზე. მათ ცხოვრებისა და განვითარების უამრავი შესაძლებლობა აქვთ, რის გამოც, შვილების გაჩენისგან თავს იკავებენ. ამიტომ, ევროპაში მოსახლეობის კლების პროცესი უფრო ადრე დაიწყო და უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე სხვაგან.

მსოფლიო დემოგრაფიის ამ ჭრილში განხილვა, რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ასეთ დემოგრაფიულ სურათს შესაბამისი გავლენა აქვს მსოფლიო მასშტაბის სხვა მოვლენათა განვითარებაზე.

# რევიზიონისტული აზრებით შეპყრობილი პუტინი

**ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დასავლეთმა და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკამ თავი გამარჯვებულად გამოაცხადა და მსოფლიოში ერთპოლუსიანობამ დაისადგურა. დასავლეთმა მთელ მსოფლიოში თავისი ლიბერალური წესრიგის დამყარება სცადა, რომლის მიხედვით, მსოფლიოს დემოკრატია და კეთილდღეობა მოედებოდა, მაგრამ ხიბლში ჩავარდნილმა ამერიკამ თავისი მსოფლმხედველობის სხვა ქვეყნებისთვის თავზე მოხვევა დაიწყო. გადაჭარბებულად ნათქვამად არ ჩაითვლება, რომ ამერიკამ მსოფლიოს დამრიგებლად მიიჩნია თავი, რამაც, ბოლოს და ბოლოს, ერაყისა და ავღანეთის ხანგრძლივ ომებს მისცა ბიძგი.**

ძალისმიერმა პოლიტიკურმა მსოფლმხედველობამ არაერთ ქვეყანაში, უკურეაქცია გამოიწვია. მაგალითად, ცნობილმა არაბულმა გაზაფხულმა დემოკრატია კი არა, არეულობა მოიტანა. შექმნილი ქაოსის მოსაწესრიგებლად, ისევ ავტოკრატია და დიქტატურა გახდა საჭირო. იგივე მოხდა ეგვიპტესა და ალჟირში. ამასობაში, მომძლავრდა რევიზიონისტული იდეებით გამსჭვალული ქვეყნები, როგორიცაა რუსეთი და ჩინეთი. ამა თუ იმ ერის რევიზიონისტულ ბუნებაზე რომ ვლაპარაკობ, დღეს არსებული წესრიგისა და შეხედულებათა გადაკეთების მათ სურვილს ვგულისხმობ. ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი, ჰენრი კისინჯერი, წერდა, რომ ნაპოლეონი დიდი რევიზიონისტი იყო.

ის უკმაყოფილო იყო მაშინდელი მსოფლიო წესრიგით. ევროპის იმპერიები კი, ნაპოლეონს თავის ტოლად და სწორად არ განიხილავდნენ და მას მეტიჩარას ეძახდნენ. ნაპოლეონს თავისი მმართველობის და შეხედულებათა სისწორე რომ დაემტკიცებინა ევროპისთვის, მთელი ევროპა ცეცხლის ალში გახვია.

**გევრი პოლიტოლოგის აზრით, რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტი სწორედაც რევიზიონისტული აზრებითაა შეპყრობილი. მას არ მოსწონს დასავლეთის ბატონობა მსოფლიოში. მას ცივი ომის მოდელის დაბრუნება სურს, რომ მსოფლიო ახლაც გავლენის ზონებად დაიყოს. პუტინისთვის, ნატოს გაფართოება კატეგორიულად მიუღებელია, რადგან მიაჩნია, რომ რუსეთი ამით ეროვნულ უსაფრთხოებასაც კარგავს და გავლენებსაც.**

ჯერ კიდევ, 2007 წელს, მიუნხენის კონფერენციაზე, რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთი არ შეეგუება გავლენის დაკარგვას. მოგვიანებით, საქართველოში აგვისტოს ომი დაიწყო, რითაც რუსეთმა მსოფლიო გააფრთხილა, რომ თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად ძალასაც გამოიყენებს. შემდეგ, 2014 წლის მაიდანი და ყირიმის, დონბასისა და ლუგანსკის ანექსია მოხდა. პუტინი აღარ მალავს, რომ დასავლეთმა უკრაინაში წითელი ხაზი მაშინ გადაკვეთა, როცა იანუკოვიჩის პრორუსული მთავრობა ჩამოაგდო. სწორედ ამ წითელი ხაზების გადაკვეთის გამო და-



იწყო რუსულ-უკრაინული კონფლიქტი. დღევანდელი რუსეთი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისგან ბრეჟნევის დოქტრინისმაგვარი ახალი დოქტრინის მიღებასა და აღიარებას ითხოვს, რომლსაც, სხვაგვარად, შეზღუდული სუვერენიტეტის დოქტრინას უწოდებენ, და რომლის მიხედვით, სოციალისტური ბანაკის ქვეყნები დამოუკიდებელნი იყვნენ, მაგრამ სტრატეგიულ საგარეო საკითხებში საბჭოთა კავშირზე იყვნენ მიბმული. **გავლენების გაფართოება სურს, ასევე, გაძლიერებულ ჩინეთს.**

ის არ მალავს თავის ექსპანსიურ ზრახვებს. ჩინეთი მარტო ტაივანით არ კმაყოფილდება. მას სამხრეთ-ჩინეთის ზღვის რეგიონის გაკონტროლებაც სურს. მთავარ რევიზიონისტებს, შეუერთდა დასავლეთის სანქციებისგან გაწამებული ირანიც. როგორც დასავლელი ექსპერტები ამბობენ, ირანმა დიდი გავლენა იქონია ისრაელში განვითარებულ მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებზე. გლობალური სამხრეთის ქვეყნები ჯერჯერობით ნეიტრალურ პოზიციას კი იკავებენ, მაგრამ დასავლური ნეო-ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ ხმამაღლა გამოხატავენ უკმაყოფილებას. ნეო-ლიბერალური პოლიტიკის წინააღმდეგია, ასევე, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ჯოზეფ სტიგლიცი. მისი აზრით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ნეო-ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა მიზანს ამართლებდა. ცივი ომის დამთავრების შემდეგ კი, ამ პოლიტიკამ ბევრი ქვეყანა გააღარიბა, რამაც იმ ქვეყნებში დემოკრატიის ეროზია გამოიწვია. სტიგლიცის აზრით, ამგვარმა პოლიტიკამ მსოფლიოში უთანასწორობა წაახალისა. უთანასწორობა, უკვე, ამერიკაშიც შეიმჩნევა. ნეოლიბერალური გლობალიზაციის გამო, ამერიკის სამრეწველო ქალაქები გაკოტრდა, რადგან ამერიკულმა კომპანიებმა წარმოება, იაფი მუშახელისა და მეტი მოგების მოტივით, აზიაში გადაიტანეს. იგივე სტიგლიცის თქმით, თუ დასავლეთს სურს, რომ ლიბერალურმა წესრიგმა ისევ გაიმარჯვოს, მაშინ, დასავლეთმა უარი უნდა თქვას ნეო-ლიბერალიზმზე და უფრო მეტი აქცენტი გააკეთოს თანამშრომლობაზე.

მოკლედ, დასავლელი მეცნიერები დასავლეთს გლობალურ სამხრეთთან მეტი თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ. როგორც ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა, რიჩარდ ჰაასმა აღნიშნა, მსოფლიო დღეს მზარდი არეულობის ხანაში შევიდა. მისი აზრით, სანამ მსოფლიოს ლიდერები და კერძოდ, დასავლეთი, მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეას არ შესთავაზებს, რომლითაც ყველა კმაყოფილი იქნება, ქაოსი და კონფლიქტები ყოველთვის მოიმატებს. მისი აზრით, ახლა მთავარია, არსებული პატარა კონფლიქტები დიდ მსოფლიო ომში არ გადაიზარდოს. თუ არა და, ყველაფერი წყალში ჩაიყრება.

**გერმანელმა პოლიტოლოგებმა ხუთი სამომავლო სცენარი ჩამოაყალიბეს.**

**პირველი: ლიბერალური მსოფლიო-წესრიგი, შეიძლება, გადარჩეს, ოღონდ, ამერიკულ ერთ-პოლუსიანობაზე უარის თქმით და დასავლეთის ერთ მუშტად შეკვრით.**

**მეორე: მთელ მსოფლიოს, შეიძლება, მოედოს ქაოსი და ომები. მაშინ, დღევანდელი წესრიგი მთლიანად დაიშლება.**

**მესამე: წარმოიშობა რამდენიმე ძლიერი პოლუსი. დიდ სახელმწიფოთა ალიანსები შეძლებენ მსოფლიოში სტაბილურობის უზრუნველყოფას, მაგრამ მრავალპოლუსიანობა ვერ გადაჭრის კაცობრიობის წინაშე არსებულ ურთულეს პრობლემებს.**

**მეოთხე: წარმოიშობა ახალი ცივი ომი, რომელიც დაბლოკავს წესებზე დაფუძნებულ მრავალმხრივ სისტემას, მაგრამ მსოფლიოში მაინც სტაბილურობა და საერთო ინტერესებზე დამყარებული თანამშრომლობა იქნება.**

**დაბოლოს, მეხუთე სცენარი: მსოფლიოში, შეიძლება, გამეფდეს არალიბერალური მსოფლიო-წესრიგის ჩინური მოდელი. ამ ხუთი სცენარიდან რომელი განვითარდება მომავალში, არავინ იცის, მაგრამ თუ დასავლეთს დღევანდელი ლიბერალური მსოფლიო წესრიგის გადარჩენა სურს, მაშინ, სამყაროს ლიბერალური წესრიგის მოდერნიზებული ვარიანტი უნდა შესთავაზოს, რადგან ძველი ნამდვილად აღარ მუშაობს!**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV



# პოეტის ლექსებით ამღერებული ოდაბადე...



მუდამ ხალხმრავლობაა პოეტის მშობლიურ ეზოში „ლაშაობის“ დღესასწაულზე, ასე იყო წელსაც

**მომავალ წელს 20 წელი სრულდება ჩვენი თაობის სიამაყის, შესანიშნავი პოეტისა და ჟურნალისტის ლაშა გახარიას გარდაცვალებიდან. იგი ამ წუთისოფელსნაადრევად, 56 წლის ასაკში განერიდა და ზეციურ საქართველოში დაიდო ბინა. წელს კი, ოქტომბრის თვეში, მეცხრამეტედ აღვნიშნეთ უკვე ტრადიციადქცეული დღესასწაული „ლაშაობა“.**

იშვიათია პოეტი, ლაშა გახარიას მსგავსი ბედი ეტარებინოს – საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ბოლომდე იყო ჩაფლული პროფესიულ საქმიანობაში და თითქმის მის გარდაცვალებამდე, მეგობრების გარდა არავინ იცოდა, თუ როგორი პოეტი იყო.

„ყელში ლექსად გაჩხერილი მეტასტაზებით“ მიცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, მეგობრების გვერდში დგომით გამოვიდა მისი პირველი კრებული და... ლაშამ სამუდამოდ დაიმკვიდრა მეოცესაუკუნელ პოეტთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი. **„მაგრამ ლაშა მაინც XXI საუკუნის პოეტია, იმ საუკუნისა, როდესაც ხალხმა, ახლა უკვე მისმა ერთგულმა მკითხველმა და მისი პოეზიის თაყვანისმცემლებმა გაითავისეს მისი პოეზიის სიდიადე.**

**ამას წინათ, ერთ-ერთ ქორწილში გახლდით სამეგრელოში და სიძე-პატარძლის მეგრული წესით გაფორმებულ მაგიდასთან, ხალიჩაზე ლაშას ლექსის სტრიქონები მომხვდა თვალში. ლამაზად გამოყვანილი სიყვარულისადმი მიძღვნილი სტრიქონები**

**„რა კაკაბანა წყალია, ასკინკილა და მარები,**
**გოგონამ წყალი დალია, წყალმა გოგონას თვალები..“**

ამაზე მეტი დაფასება და გათავისება პოეტის ლექსისა რაღა უნდა იყოს“, – თქვა „ლაშაობაზე“ მეგობარმა პოეტმა **ლაშა გვასალიამ.**

ჭეშმარიტებას ბრძანებს იგი, რადგან რაც დრო გადის, „ლაშაობაზე“ უფრო და უფრო მეტი თაყვანისმცემლები იკრიბებიან, განსაკუთრებით ახალგაზრდები ჭარბობენ, სკოლის მოსწავლეები და თითისტოლა გოგო-ბიჭები, რომლებმაც ზეპირად იციან თავიანთი კუთხის პოეტის ლექსები და მის დეკლამირებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან.

...მეცხრამეტეჯერ შევიკრიბეთ ლაშას მეგობრები და გავუდექით საქართველოს ულამაზესი კუთხის, სამეგრელოს ლაკადის, მუხურის გზას. მადლიანი შემოდგომაა, ბუნებამაც უკან გადასდო თავისი „კაპრიზები“ და გადაბმული წვიმიანი ამინდების შემდეგ გამოიდარა, საკმაოდაც დათბა და მართლაც სადღესასწაულო განწყობილებით დაგვახვედრა მთებს შეყუჟული ულამაზესი სოფელი, განთქმული თავისი სიყვარულით, პოეტურობითა და სტუმარმასპინძლობით. „ლაშაობის“ დღესასწაულისათვის არ არსებობს ამინდის ჭირვეულობა, პანდემია, გაჭირვება და სხვა ხელის შემშლელი პირობები. გულმხურვალე და მადლიანი მუხურელები, რომელთათვისაც ლაშას მეგობრები უკვე კარგა ხანია „თავის ხალხად“ ქცეულან, ძველებური სითბოთი გვეგებებიან. **მარინა თექთუმანიძე, ერეკლე საღლიანი, თამაზ ხმალაძე, ზაურ ნაჭყებია, თემურ ჟღენტი** და ამ სტრიქონების ავტორი უკვე ლაშას ოდაბადესთან ჩამოვდივართ თბილისიდან „აყვანილი“ სამარშრუტო ტაქსიდან და მომღიმარ ლაშასიანებს ვუერთდებით. უკვე მერამდენედ ვუყვებით დამხვდურებს პოეტთან გატარებული წლების შესახებ, ეს მათ უკვე კარგად იციან, მაგრამ ახალგაზრდებისთვის არის საინტერესო – როგორ ეფოფინებოდა თითოეულ სიტყვას ლაშა გახარია, კარგი მოქართულე და გადამეტებულად თვითკრიტიკოსი თავისი შემოქმედებისა – აკი, საწერი მაგიდის უჯრაში დატყვევებული ლექსებით არასოდეს შეუწუხებია არც პერიოდული პრესა, არც – იმ დროს ცნობილი ალმანახები და არც – გამომცემლობები, უახლოესი ხალხის გარემოცვაში, ლხინობის ჟამს თუ აიწყვეტდა და საოცარი ლექსებით ქარბორბალას დაატრიალებდა, იგი ხომ ერთნაირი ოსტატობით აგვირისტებდა მეგრულ და ქართულ ლექსებს. დამხვდური მუხურელები, ლაშას სიყრმის მეგობრები, პოეტები და ქართულ მწერლობასთან არცთუ მწყრალად მყოფებიც იხსენებდნენ პოეტის სიყმაწვილეს, იხსენებდნენ როგორ შემოათენდებოდათ მადლიანი მეგრული პურმარილით ჩაზნექილ სუფრასთან ლაშას ლექსთა სმენაში და ეხვეწებოდნენ „ახლა ის წაგვიკითხეო“, რომელი ლექსებიც თავადაც ზეპირად იცოდნენ.



ლაშა გახარიას ბიუსტის ავტორი გიორგი შხვაცაბაია და პოეტის მეუღლე როზა ბერიკაშვილი. სწორედ ეს ბიუსტი დაიდგმება პოეტის სოფელში.

ასეთი მოგონებებით დაატკბეს შეკრებილები **ნუგზარ ჟვანიამ, კოტე ნაჭყებიამ, ედემ კვირტიამ,** ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერმა **დავით გოგუამ,** საკრებულოს თავმჯდომარემ **შოთა წურწუმიამ** და უამრავმა მუხურელმა, ჩხოროწყუელმა, ზუგდიდელმა მეგობრებმა.

წლევანდელ „ლაშაობაზე“ ინიციატივით გამოვიდნენ რაიონის ხელმძღვანელები, რომ დაწესდეს ლაშა გახარიას სახელობის პრემია, რაიონში დაიდგას პოეტის ბიუსტი, რომლის ავტორია საქვეყნოდ ცნობილი მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია. ლაშას ოდაბადეს, უკვე ყველა იცნობს, როგორც ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმს, რისთვისაც დიდი შრომა გასწიეს მუხურელებმა და რაიონის ხელმძღვანელობამ, ყველაზე მეტად კი პოეტის მეუღლემ **როზა ბერიკაშვილმა** და ლაშას ძმამ, ჩვენმა უცვლელმა მასპინძელმა **ელგუჯა გახარიამ**.

**„ეს ლამაზი დღე არ უნდა იყოს დავიწყებული, ლაშას უფრო მეტი დაფასება სჭირდება და ჩვენ ამისთვის მზად ვართ, ლაშამ ჩვენი სოფლის სახელი ხომ მთელ საქართველოს გააცნო, ჩვენი მოვალეობაა მომავალ თაობას შევაყვაროთ ლაშას პოეზია“, – ბრძანა მუხურის საშუალო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგმა, სკოლაში „ლაშას პოეზიის დღეების“ დამაარსებელმა და „ლაშაობის“ უცვლელმა წამყვანმა ირმა თოდუამ**.

„ლაშაობის“ დღესასწაულს როგორც წინა წლებში, ასევე წლეულსაც ვრცელი რეპორტაჟი მიუძღვნა ტელეკომპანია „კოლხეთი – 89“-მ.

**„ლაშაობას“ გვიანობამდე ზეიმობდნენ მუხურელები და პოეტის ოდაბადეს სტუმრები.**

**მამუკა ვაშაკიძე,**
**თბილისი-მუხური-თბილისი.**

# ნახეთ «ნიკალა» კვირას, 5 ნოემბერს, «ამირანში»

## კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით შექმნილი თოჯინური ანიმაციის – „ნიკალას“ – პრეზენტაცია

**საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით შექმნილი თოჯინური ანიმაციის – „ნიკალას“ – პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, „დიორამა ფროდაქშენის“ წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.**

„ნიკალა“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსის – „ახალგაზრდული შემოქმედებითი სტარტაპების ხელშეწყობა“ – გამარჯვებული პროექტია. სამინისტროს მხარდაჭერით „დიორამა ფროდაქშენის“ ბაზაზე შეიქმნა სტუდია და აეწყო დიორამები. საგულისხმოა, რომ კონკურსის ფარგლებში შეძენილი ტექნიკა ორგანიზაციას დაეხმარება სხვა თოჯინური ანიმაციების შექმნაშიც.

„ნიკალა“ „დიორამა ფროდაქშენის“ პირველი ნამუშევარია. ანიმაცია, რომლის მოქმედი პირები თოჯინები არიან, ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებას განსხვავებულად წარმოაჩენს. დიორამა კი არის სცენის მაკეტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ნებისმიერი სახის გარემო შევქმნათ. მოქმედება მთლიანად მორგებულია XIX-XX საუკუნის თბილისის ესთეტიკასა და სიტუაციას. თოჯინური ანიმაცია გამოსახულებით, მუსიკითა და გარემოს ხმებით გადმოსცემს დიდი ხელოვანის შემოქმედებასა და მის რთულ ცხოვრებისეულ გზას. ფილმის რეჟისორი, ოპერატორი და ანიმატორია კოტე ნინუა, პროდიუსერი – ნინა ოთარაშვილი, მონტაჟის რეჟისორი – ანი ჯობავა.



თოჯინური ანიმაციის გადასაღებად შეიქმნა ათზე მეტი დიორამა და რვა თოჯინა. ხუთწუთიანი ანიმაცია „სთოფ მოუშენის“ (ანიმაცია კადრებით) პრინციპითაა გადაღებული, ტექნიკა ადრეც აქტიურად გამოიყენებოდა ქართული ანიმაციების შესაქმნელად და ის საშუალებას იძლევა ხელშესახები გავხადოთ თითოეული დეტალი, განსხვავებულად წარმოვაჩინოთ ამბავი.

◉ გზაგასაყარზე

# მამარდაშვილი „არისტოკრატებში“?



**„ჩელსი“ „ვალენსიისა“ და ბილბაოს „ატლეტიკის“ მეკარეებს, გიორგი მამარდაშვილსა და უნაი სიმონს აკვირდება,** – ინფორმაციას გამოცემა 90min.com ავრცელებს.

**„არისტოკრატებმა“ ზაფხულში მეკარეების შემადგენლობა შეცვალეს – ედუარდ მენდი საუდის არაბეთის „ალ აჰლიში“ გადავიდა, ხოლო კეპა არიზაბალაგა მადრიდის „რეალს“ იჯარით შეუერთდა. მათ ნაცვლად გუნდში რობერტ სანჩესი და ჯორჯ პეტროვიჩი მიიყვანეს.**

**სანჩესი სარეზერვო მეკარედ დაიმატეს, მაგრამ ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი და მიმდინარე სეზონში „ჩელსიში“ ჩატარებულ 12 მატჩში კარი მშრალად ოთხჯერ შეინახა. მიუხედავად იმისა, რომ მას „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი მაურისიო პოჩეტინო ენდობა, გუნდს ახალი პირველი მეკარის შეძენა სურს და ამ მიზნით გიორგი მამარდაშვილსა და უნაი სიმონს აკვირდება.**

**„ჩელსის“ სკაუტები „სან მამესის“ სტადიონზე „ვალენსიისა“ და ბილბაოს „ატლეტიკის“ მატჩს დაესწრნენ, რათა მამარდაშვილსა და სიმონს დაკვირვებოდნენ. მამარდაშვილი „ჩელსის“ ერთ-ერთი მთავარი სატრანსფერო სამიზნეა, თუმცა ლონდონელები სიმონსაც აკვირდებიან და, სავარაუდოდ, საბოლოო არჩევანს ამ ორ მეკარეს შორის გააკეთებენ.**

**საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი გიორგი მამარდაშვილი ლა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე გახდა. იგი თბილისის „დინამოდან“ „ვალენსიაში“ 2021 წლის იანვარში გადავიდა, 74 მატჩი ჩაატარა და კარი მშრალად 21-ჯერ შეინახა“,** – წერს გამოცემა 90 min.com

◉ ლეგიონერი

# შენგელია – ოქტომბრის MVP

**„ვირტუს ბოლონიას“ კალათბურთელი თორნიკე შენგელია ევროლიგის ოქტომბრის MVP გახდა.**

ოქტომბერში „ვირტუსმა“ 5 მატჩი ჩაატარა და 4 მოიგო, ხოლო შენგელია თითქმის ყველა შეხვედრაში საუკეთესო იყო. ქართველმა კალათბურთელმა განვლილ ხუთ ტურში საშუალოდ 18.4 ქულა, 4.8 მოხსნა და 4 პასი დააგროვა, მისი მარგი ქმედების საშუალო კოეფიციენტი კი 23.6-ია, რაც ოქტომბერში საუკეთესო მაჩვენებელი გამოდგა.




თორნიკე შენგელია ევროლიგაში მე-3 ტურის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, თუმცა, ცხადია თვის MVP-ის ტიტული უფრო ფასეულია. ეს ჯილდო მან კარიერაში მეორედ მოიგო – პირველად 2018 წლის მარტში, როდესაც ესპანურ „ბასკონიაში“ გამოდიოდა.

◉ ოვალური ბურთი

# ირლანდიელს დაეჯერება

წლის ტრადიციულ დაჯილდოებაზე მსოფლიო რაგბიმ სამსაჯო კარიერისთვის პრიზი ამჯერად დევიდ მაკქიუს გადასცა, რომელიც 5 წელია კადრებს საქართველოსთვის ამზადებს; ამ პერიოდში მან არაერთი კვალიფიციური ქართველი მსაჯი აღზარდა, რომლებიც მსოფლიო თასის, 6 ერისა თუ სხვა მსხვილ ტურნირებზე საქართველოს წარმოადგენენ.

**„რომ არა ის დიდი დაფასება და მხარდაჭერა, რაც საქართველოს რაგბის კავშირმა, სრულიად ქართულმა რაგბიმ აღმომიჩინა, ცხადია, ამ უმაღლეს ჯილდოს მე ვერ მივიღებდი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ყველას; ძალიან მიყვარს საქართველო, ქართველი ხალხი და ქართული რაგბი, მიყვარს ჩემი სამუშაო საქართველოში** – ამბობს დევიდ მაკქიუ: **„2018-ში, როდესაც პირველად ჩამოვედი საქართველოში, სულ 2 მსაჯი დამხვდა – ნიკა ამაშუკელი და შოთა თევზაძე, და ერთად იმდენი შევძელით, რომ უკვე მომდევნო წელს ორივემ ასაკობრივ კატეგორიებში 6 ერისა და ჩელენჯ თასის ტურნირებზე იმსაჯეს. დღეს გვყავს დამატებით საბა აბულაშვილი, სულხან ჩიხლაძე, გელა ლემონჯავა, ნინო ელოშვილი, მარიამ გოგუაძე, პაპუნა ჭიქაბერიძე და ა.შ., რომლებიც თავიანთ პირველ მატჩებს უკვე ატარებენ ევროპის ჩემპიონატის, იპისიარის და სხვა ტურნირებზე. მეტსაც გეტყვით, თავის მასშტაბთან შეფარდებით საქართველო დღეს ყველა სხვა ქვეყანაზე მეტ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს აწვდის მსოფლიოს, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო რაგბის განვითარებაშიც, რადგან მაღალკვალიფიციური მსაჯობის გარეშე მაღალი დონის თამაში წარმოუდგენელია.“**



დევიდ მაკქიუს თქმით, საქართველოს რაგბის კავშირი საუკეთესო პირობებს ქმნის სამსაჯო სფეროს განვითარებისთვის. ყოველ კვირაში განვლილი მატჩების ერთობლივი ანალიზი ტარდება – მსაჯების, მწვრთნელების და მოთამაშეების მონაწილეობით, იხვეწება თამაშის წესები, რის შედეგადაც სათამაშო დრო საშუალოდ 3 წუთით, თითქმის 10%-ით გაიზარდა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შიდა ჩემპიონატების ყველა თამაში ტელევიზიით გადაიცემა და რაგბი ფართოდ შუქდება სოციალურ პლატფორმებზე, – ეს ყველაფერი ამ სპორტის განვითარებას ეხმარება. **„ჩემს სამშობლოში ირლანდიაში, მაგალითად, ეროვნული ჩემპიონატის სატელევიზიო გაშუქება საერთოდ არ გვაქვს. შიდა ჩემპიონატის გაძლიერება უმნიშვნელოვანესია, ამით ნაკრებიც იღებს ბიძგს, შავი ლომიც და მაღალკვალიფიციურ მსაჯთა ზრდაც ამის ნაწილია. ახლა 22 წლის მსაჯს ვზრდით, რომელსაც ძალიან კარგი მონაცემები აქვს და დიდ იმედებს იძლევა.**

**ნიკა ამაშუკელი ქართული რაგბის ნამდვილი ვარსკვლავია, მსოფლიო ჩემპიონატზეც გამორჩეულად წარდგა, სადაც 3 მატჩი ჰქონდა და მსოფლიო რაგბისგან ძალიან კარგი შეფასება მიიღო. დიდ იმედს იძლევიან გოგონებიც – იზრდება მსაჯობისადმი ინტერესი ქალთა შორის, რაც აუცილებლად დადებითად აისახება საქართველოში ქალთა რაგბის განვითარებაზე და არამხოლოდ 7-ქალას ფორმატში“** – დასძენს დევიდ მაკქიუ.

საქართველოში ის ნოემბერში ჩამოდის და ამბობს, რომ საახალწლოდაც აუცილებლად თბილისში იქნება.

◉ სეოკ-ში

# „სპორტფოტოს“ პრეზენტაცია




**საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ტრადიციული, რიგით მე-9 ფოტო-კატალოგის „სპორტფოტოს“ პრეზენტაცია გაიმართა. კატალოგი არის ამავე სახელწოდების ყოველწლიური პროექტის ერთ-ერთი რგოლი, თავად პროექტმა ამ სახითა და სახელწოდებით კი 2014 წლიდან დაიმკვიდრა თავი.**

„სპორტფოტოს“ მთავარი მიზანია თბილისსა და მთლიანად საქართველოში სპორტული ფოტოგრაფიის განვითარება.

კატალოგი საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაციის დაფინანსებით გამოიცა. მასზე მომუშავე ჯგუფი შეეცადა 220 გვერდში ჩაეტია ერთი სპორტული წელი, რომელიც მრავალი საინტერესო მომენტით იყო გამორჩეული. ისევე, როგორც წინა წლებში, „სპორტფოტო“ თემატურად ხუთი ოლიმპიური რგოლის პრინციპით იწყობა. ერთი რგოლი მთლიანად ზამთრის ოლიმპიადას ეძღვნება, სადაც პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისას ფიგურული ციგურაობის ქართულმა გუნდმა ისტორიული შედეგი აჩვენა.

◉ მინი-ფეხბურთი

# პენალტების სერიაში

**საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის პლეი-ოფში მასპინძელ არაბთა გაერთიანებულ საამიროებს დაუპირისპირდა, პენალტების სერიაში დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა.**

ჯგუფური ეტაპის შესანიშნავად ჩატარების შემდეგ (სამივე მეტოქე დავამარცხეთ, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონი მექსიკა) ბესო არველაძის გუნდმა მასპინძლებთან მატჩიც კარგად დაიწყო. მე-6 წუთზე ბექა ტუღუშმა მეკარის გადაცემა ჩაჭრა და მახვილი კუთხიდან გაიტანა.

საქართველოს ნაკრებმა მეორე ტაიმის ბოლომდე კარი მშრალად შეინახა, მაგრამ 49-ე წუთზე ბექა ტუღუში მოედნიდან გააძევეს, არაბთა გაერთიანებული საამიროების გუნდმა კი რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლა და შეხვედრის დასრულებამდე 44 წამით ადრე წონასწორობა აღადგინა. მატჩის შემდეგ დაინიშნა პენალტების სერია, რომელიც მასპინძლებმა უკეთ შეასრულეს – 2:3.




◉ ჩემპიონთა ლიგა

# უთანასწორო ბრძოლაში

**წყალბურთის ჩემპიონთა ლიგაში თბილისის „დინამომ“ იტალიურ „პრო რეკოს“ უმასპინძლა და 9:16 დამარცხდა.**

დინამოელებმა თამაში კარგად დაიწყეს და ძლიერ მეტოქეს პირველ მეოთხედში დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, ქართველმა წყალბურთელებმა დაცვაში მაღალ დონეზე ითამაშეს, მეკარე ირაკლი რაზმაძემ რამდენიმე ურთულესი ბურთი მოიგერია და მეოთხედი ფრედ – 2:2 დასრულდა.

მეორე მეოთხედში ანგარიში ქართველმა წყალბურთელებმა გახსნეს და კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ, მაგრამ იტალიელებმა თამაში თანდათან გამოასწორეს, რაც ანგარიშშიც აისახა და პირველი ტაიმი სტუმრებმა 6:3 მოიგეს.

დარჩენილ დროში აპენინელებმა მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს და საბოლოოდ შეხვედრა მათი გამარჯვებით დასრულდა – 16:9.

დინამოელთაგან პიეშივაცმა პოკერი შეასრულა, ხოლო თითო გოლი ტანკოსიჩმა, ტყეშელაშვილმა, ძიხწიარენკამ, ვაპენსკიმ და ვლაჰოვიჩმა გაიტანეს.

შეგახსენებთ, რომ ახალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის გათამაშება განახლებული სისტემით ტარდება. ჯგუფურ ეტაპზე 16 გუნდი მონაწილეობს და ორ-ორი საუკეთესო მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავა, საიდანაც ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალის მონაწილეები გამოვლინდებიან.

ის გუნდები კი, რომლებიც ჯგუფში მესამე-მეოთხე პოზიციებს დაიკავებენ, ევროთასზე გადაინაცვლებენ და ბრძოლას მერვედფინალიდან გააგრძელებენ.

„დინამოს“ დარჩენილი მატჩების კალენდარი:
**22 ნოემბერი.** „ოლიმპიაკოსი“ – „დინამო“,
**6 დეკემბერი.** „დუბროვნიკი“ – „დინამო“.



## ქორწინების იძულების ფაქტზე გოგონას დედას ბრალდება წარედგინა

**პროკურატურამ ქორწინების იძულების ფაქტზე, 14 წლის გოგონას დედას ბრალდება წარუდგინა.**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში, ბრალდებული გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, თვლიდა, რომ არასრულწლოვნის აზრს მნიშვნელობა არ ჰქონდა, სისტემატური მოთხოვნით, 14 წლის შვილს მისი ნების საწინააღმდეგოდ, ოჯახის მიერ შერჩეულ მამაკაცზე ქორწინებას აიძულებდა. დაზარალებულმა ბრალდებულის მხრიდან ზეწოლას თავი სახლიდან გაქცევით დააღწია.

სამართალდამცველებმა ბრალდებული სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 31 ოქტომბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11'-150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ქორწინების იძულება, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ) წარედგინა.

## „ავერსის" კლინიკიდან გაქცეული სამივე პატიმარი დაკავებულია!

**– ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრი სოციალურ ქსელში წერს.** როგორც **რატი ბრეგაძე** აღნიშნავს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციით ძებნის ღონისძიება წარმატებით დასრულდა.

**„მადლობა ჩემს მეგობარს, შინაგან საქმეთა ღირსეულ მინისტრს, ვახტანგ გომელაურს დიდი მხარდაჭერისთვის. მადლობა ჩვენს თანამშრომლებს, რომლებმაც პოლიციასთან ერთად ყველა საჭირო ღონისძიება მაღალი პროფესიონალიზმით განახორციელეს და დაიცვეს ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება. მადლობა ყველას, ვინც წარმატება გვისურვა. დამნაშავეებს მიესჯებათ შესაბამისი სასჯელი. ეს არასრული 24-საათიანი ისტორია გაკვეთილი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სამართალდამცავი სისტემის წინააღმდეგ უკანონო ნაბიჯების გადადგმაზე გაიფიქრებს",** – წერს რატი ბრეგაძე.

## კრიპტო ვალუტის ყაჩაღები გამოიჭირეს!

**საქართველოს პროკურატურამ, კრიპტო ვალუტის გადამცვლელ ოფისში მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე დაკავებულ ორ პირს ბრალდება წარუდგინა,** – ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2023 წლის 30 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში მდებარე კრიპტო ვალუტის გადამცვლელ ოფისში, ბრალდებულები, სხვა პირებთან ერთად, ჯგუფურად, სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებით, თავს დაესხნენ აღნიშნულ ოფისში მყოფ პირებს და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ ოფისის და იქ მყოფი მომხმარებლების კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას – 810 300 ამერიკული დოლარის, 110 ევროს და 6500 ლარის ოდენობით.

„დაკავებულებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" და მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



## დიმიტრის შაბათი

**4 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მართლმადიდებულად მიცვალებულთ იხსენიებს.**

ამ დღეს მოიხსენიება ქრისტიანები ტრაგედიის, ბრძოლის ველზე, პანდემიის, ავადმყოფობით გარდაცვლილნი.

ცნობილია, რომ ეს შაბათი დიმიტრი დონელის (1389 წ.) დროიდან იღებს სათავეს. აღსანიშნავია, რომ 1380 წელს ღირსმა სერგი რადონეჟელმა წმინდა მთავრის თანდასწრებით აღასრულა პანაშვიდი კულიკოვოს ბრძოლაში დაღუპული მეომრების სულის საოხად.

ასეთი სახის პანაშვიდი შემდგომში ტრადიციად იქცა და თანდათან წინაპართა მოსახსენებელი დღე გახდა.

...დადგინდა, რომ მსახურება ყოველწლიურად უნდა აღესრულებინათ წმიდა დიმიტრი თესალონიკელის ხსენების (8 ნოემბრის) დღის წინა შაბათს, სწორედ ამიტომ ეწოდა „დიმიტრის შაბათი".

**გიული ლიპარტია**

## ზემო ფონიჭალას ახალი სკვერი შეემატა

ფონიჭალას ახალი სკვერი შეემატა, რომელიც გუშინ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ მის მოადგილესთან, კახა გულედანთან და კრწანისის რაიონის გამგებელთან, ზექა მიქაუტაძესთან ერთად გახსნა.



**„კიდევ ერთი სკვერი მოეწყო დედაქალაქში, კერძოდ, ფონიჭალაში. ძალიან სასიამოვნო გარემოა. მახსოვს, როცა სამუშაოები იწყებოდა, რამდენად მძიმე მდგომარეობა იყოს აქ. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პრობლემები იყო სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას. კომპანიამ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები და მოგვიწია მასთან თანამშრომლობის შეწყვეტა. მეორე კომპანიასთანაც ანალოგიური პრობლემა შეიქმნა.**

**მესამე კონტრაქტორის პირობებში დასრულდა პროექტი. მინდა, დისკომფორტისთვის ბოდიში მოვუხადო ადგილობრივ მოსახლეობას, თუმცა დღეს ყველა ბედნიერია, ძალიან სასიამოვნო გარემოა. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დასახლებულ უბანს შეემატა სკვერი, რომელშიც დიდებისა და პატარებისთვის, ყველასთვის არის გათვალისწინებული შესაბამისი სივრცეები",** – განაცხადა კახა კალაძემ.

## კოვიდმა ხელი შეუწყო ტვინის ფუნქციის დაქვეითებას

**ახალი კვლევის მიხედვით, კოვიდპანდემიამ დიდ ბრიტანეთში 50 წელს გადაცილებული ადამიანების ტვინის ჯანმრთელობაზე იმოქმედა.**

კვლევაში, რომელსაც ექსეტერის უნივერსიტეტის სპეციალისტები ატარებენ, 3 ათასზე მეტი მოხალისე მონაწილეობს, რომლებიც ყოველწლიურად ავსებენ კითხვარს და კოგნიტიურ ტესტებს გადიან. შედეგებმა მათი ტვინების ფუნქციონირებაში ვარდნა დაადასტურა. მეცნიერების შეფასებით, კვლევის შედეგები შეიძლება სტრესით, მარტოობით და ალკოჰოლის მოხმარებით აიხსნას. მათი თქმით, კოვიდთან დაკავშირებულ შიშებთან გამკლავებამ და გაურკვევლობამ ადამიანების რუტინა დაარღვია და შესაძლოა ტვინის ჯანმრთელობაზე „რეალური, ხანგრძლივი გავლენა ჰქონდეს".

კვლევამ ასევე დაადგინა, რომ კოგნიტიური ფუნქციების დაქვეითება ყველაზე სწრაფად პანდემიის პირველი წლის განმავლობაში, ლოკდაუნების დროს გაიზარდა. მეხსიერებასთან დაკავშირებული ფუნქციის დაქვეითება მეორე წელსაც გაგრძელდა. ზოგადად, ყველაზე დიდი ვარდნა ამ მხრივ ჰქონდათ ადამიანებს, რომლებთან მეხსიერების პრობლემები პანდემიამდეც აწუხებდათ. კვლევის მიზანი ჯანმრთელი ტვინის დაბერების მექანიზმის შესწავლა და დემენციის განვითარების მიზეზების დადგენა იყო. ავტორები მომავალში მის გაგრძელებას გეგმავენ. თუმცა, არსებული მონაცემებით, მათ უკვე შეუძლიათ გააკეთონ დასკვნა, რომ პანდემიის დროს არსებულმა პირობებმა ტვინის ფუნქციის დაქვეითება გამოიწვია.

გვეხმაურებიან

# რიგითი თბილისელის გულისტკივილი

### გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას!

**თქვენი გაზეთის 6 ოქტომბრის ნომერში, „გვიყვარხარ, თბილისო" გამოქვეყნდა ომარ მარგველაშვილის აქტუალური წერილი, რომელიც ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია და ალბათ ამას მრავალი თბილისელი მოაწერდა ხელს.**

თავდაპირველად გამოვხატავ დიდ პატივისცემას ქალაქ თბილისის მერისადმი. ბრმა და ყრუ უნდა იყო, რომ არ დაინახო ჩვენს ქალაქში განხორციელებული ბევრი სასიკეთო პროექტი, თუმცა მინდა თბილისის გულშემატკივარს ომარ მარგველაშვილს ბევრ რამეში დავეთანხმო: განა ვანდალიზმი არაა ასე გადაჯღაბნო რუსთაველის პოსტამენტი, მარჯანიშვილის ხიდი და ლამაზად რესტავრირებული ქუჩები?! ადგილს აღარ ტოვებენ მჯღაბნელები...

ამას წინათ უცხოელმა სტუმარმა მითხრა: ასეთ მჯღაბნელ მხატვრებს ჩვენთან ძირითადად რკინიგზის პირი და საგანგებოდ გამოყოფილი ადგილები ეთმობათო.

ჩვენთან კი არც ისტორიულ მემკვიდრეობას, არც ხელოვნების ნიმუშებს ერიდებიან, ყველაფერს ჯღაბნიან!

ვიცი, თბილისში არის მუნიციპალური პოლიცია... ამას წინათ ერთი მოზრდილი ტოტის გამო, რომელიც გახმა, მთელი ბრიგადა დაგვადგა თავზე! „მხატვარ"-მჯღაბნელები კი მთელ ქალაქს მოედვნენ...

ალბათ, ამ ხალხს ვიღაც აფინანსებს: საღებავები (პულივიზატორი) ხომ საკმაოდ ძვირი ღირს?!

მახსოვს, კალაძე რომ მერად ავირჩიეთ, პირველი თქვა, რომ გმირთა მოედნიდან ორ ბენზინგასამართ სადგურს გავიტანო! შევახსენებთ რომ, ეს აუცილებლად გასაკეთებელია! დავძენ იმასაც, რომ თბილისს აშკარად აკლია 2-3 ხიდი! თავისუფლად შეიძლება დიღმის მასივიდან ხიდი (ავტოსამრეცხაოს მიდამოებიდან) გადავიდეს ჯერ დიდუბეში და შეუერთდეს ნაძალადევს. თუ ასეთი გამჭოლი გზები არ გაკეთდა, ხომ ვხედავთ, რომ თბილისი სულ უფრო მძიმე საცობებში იხრჩობა. ვიდრე კვლევებს ატარებთ, მოსახლეობის უკმაყოფილების მუხტი იზრდება და ეს ძალიან ცუდია.





ადრე ვწერდი, ყველა ქვეყანაში სადისტრიბუციო მანქანები ღამის საათებში ამარაგებენ მაღაზიებს! ნუთუ ამის ორგანიზება ასე ძნელია?!

წელს შევატყვე, დასავლეთიდან შემომსვლელი მანქანებისა და თბილისიდან გამსვლელი მანქანების საცობები ხშირად აუტანელია! აშკარაა, რომ ფეიქრების ქუჩას უნდა მიეცეს გაგრძელება, ეს არ არის რთულად მოსაგვარებელი. ასევე, აეროპორტიდან წამოსულ გზას, პეტრე-პავლეს სასაფლაოს გვერდით, უნდა მოენახოს ზომიერი გასასვლელი!

მსგავსი პრობლემები ბევრია.

ყოველი ეს შენიშვნა კეთილი სურვილებით არის ნაკარნახევი და არავითარი სხვა რამ არ მამოძრავებს.

**მალხაზ დოლიძე,**
**ტექ. მეცნ. დოქტორი,**
**თბილისის რიგითი გულშემატკივარი.**



# ვიზიტორების შესვლა აია-სოფიაში ფასიანი გახდება

**მეჩეთად გადაკეთებულ აია-სოფიას ტაძარში შესვლა ფასიანი უცხოელებისთვის გახდება.** ამის შესახებ თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრმა, მეჰმეთ ნური ერსოიმ განაცხადა.

**„2024 წლის 15 იანვრიდან უცხოელი ვიზიტორებისთვის შესვლა ფასიანი გახდება. თურქეთის მოქალაქეებისთვის, რომლებიც აია-სოფიაში სალოცავად ჩამოდიან, შესვლა უფასო იქნება“,** – აღნიშნა მეჰმეთ ნური ერსოიმ. მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება მიღებულია „იუნესკოს“ რეკომენდაციით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მართვის გეგმის რეალიზაციის ფარგლებში. გარდა ამისა, 15 იანვრიდან აია-სოფიაში უცხოელი ტურისტებისა და თურქეთის მოქალაქეებისთვის ცალკე შესასვლელები მოეწყობა.

# დედოფლის პირად ავტომობილს აუქციონზე გაყიდიან



**დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედ მეორის პირად ავტომობილს აუქციონზე გაყიდიან. საუბარია Range Rover Vogue 2004-ზე, რომლითაც დედოფალი ხშირად დადიოდა. თითქმის 20 წლის განმავლობაში დედოფალმა ამ ავტომობილით 175,5 ათასი კილომეტრი გაიარა.**

ავტომობილი სპეციალურად დედოფლისთვის იყო მოდიფიცირებული. კერძოდ, საზარგულს უკანა სავარძლებისგან ბადისებრი გამყოფი ყოფს, რათა იქ მყოფმა კორგებმა მგზავრებს არ შეუშალონ, კაპოტზე კი პატარა ხვრელია, რომლის დახმარებითაც ელისაბედი თავის თილისმას – ლაბრადორის ფიგურას ამაგრებდა. აუქციონი 11 ნოემბერს გაიმართება. მანქანის სავარაუდო ფასი 50-60 ათას გირვანქას შეადგენს.

# ბრიტანეთის მეფე წინაპართა შეცდომებს ინანიებს

**დიდი ბრიტანეთის მეფე ჩარლზ III და დედოფალი კამილა ნაირობიში ოთხდღიანი სახელმწიფო ვიზიტით ჩავიდნენ, რომელიც კენიასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ურთიერთობების განმტკიცებას ისახავს მიზნად.**

სამეფო წყვილს აეროპორტში კენიის პრეზიდენტი, უილიამ რუტო დახვდა, რის შემდეგაც ჩარლზ III-მ ნაირობის უჰურუს ბაღებში უცნობი მეომრის საფლავი გვირგვინით შეამკო. ბუკინჰემის სასახლის განცხადებაში ნათქვამია, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას, სხვა საკითხებთან ერთად, კოლონიური მმართველობის დროს დაშვებულ „ისტორიულ შეცდომებზეც“ იქნება საუბარი.

**„ვიზიტის ფარგლებში, ასევე განიხილება ბრიტანეთისა და კენიის საერთო ისტორიის, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობის (1952-1960 წწ.) პერიოდის, მტკივნეული ასპექტები. კენიაში სტუმრობის დროს, მისი უდიდებულესობა გარკვეულ დროს დაუთმობს იმაში უფრო ღრმად ჩაწვდომას, თუ რა წყენა მიაყენეს ამ პერიოდში კენიის ხალხს“,** – ნათქვამია განცხადებაში. თავის მხრივ, კენიის სახელმწიფო სახლის მედიასთან ურთიერთობის ოფიცერმა, ნაჯმა ისმაილმა, ვიზიტს „ისტორიული“ უწოდა და დასძინა, რომ კენიას დიდ ბრიტანეთთან სტრატეგიული პარტნიორობა აქვს.



# აშშ-ში ანტისემიტიზმის დონე ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს

**აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) დირექტორმა, კრისტოფერ რეიმ სენატში გამოსვლისას განაცხადა, რომ ღაზის სექტორსა და ისრაელში მიმდინარე მოვლენების ფონზე აშშ-ში ანტისემიტიზმის დონე ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს.**

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები აშშ-ის მოსახლეობის მხოლოდ 2,4%-ს შეადგენენ, მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების 60%-ს შეადგენს და ეს რიცხვი ბოლო მოვლენების ფონზე შესაძლოა კიდევ უფრო გაზრდილიყო.

**„ახლა არაა პანიკის დრო. ახლა სიფხიზლის დროა. ჩვენ არ უნდა შევცვალოთ ჩვენი ცხოვრების წესი, მაგრამ უნდა ვიყოთ ფხიზლად“,** – აღნიშნა FBI-ის დირექტორმა.

# ვენაში ებრაელების საფლავები წაბილწეს



**ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, ებრაელების სასაფლაოზე, კედლის ნაწილზე სვასტიკა დახატეს. ავსტრიის ებრაული თემის ხელმძღვანელმა ოსკარ დოიჩმა თქვა, რომ საშინელებაა ებრაული სასაფლაოს კედელზე სვასტიკისა და ჰიტლერის ფოტოების დახატვა.**

მომხდარს ავსტრიის კანცლერი კარლ ნეჰამერი გამოეხმაურა და დაგმო. მან პირობა დადო, რომ ანტისემიტიზმს ყველა პოლიტიკური და სამართლებრივი საშუალებით შეებრძოლება. ავსტრიის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვან დერ ბელენმა განაცხადა, რომ ის მომხდარით ღრმად შოკირებულია. მისი თქმით, ბოლო კვირების განმავლობაში ავსტრიაში ანტისემიტური ინციდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

# „ჩვენ ვართ ოკუპაციის მსხვერპლნი, გამართლებულია ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ“



**„ჰამასის“ წარმომადგენელმა, ღაზი ჰამადმა განაცხადა, რომ „ჰამასი“ გააგრძელებს ისრაელზე თავდასხმას, ვიდრე არ გაანადგურებს მას.** როგორც ჰამადმა ლიბანურ არხთან ინტერვიუში აღნიშნა, „ისრაელი მთლიანად უნდა განადგურდეს პალესტინის მიწაზე, მისი არსებობა ალოგიკურია“.

**„ჩვენ უნდა ვასწავლოთ ისრაელს გაკვეთილი და ამას ორჯერ, სამჯერ გავაკეთებთ. ალ-აქსას წყალდიდობა (ასე უწოდებს „ჰამასი“ 7 ოქტომბერს ისრაელზე თავდასხმას) მხოლოდ პირველია. მოგვიწევს ფასის გადახდა? დიახ. მზად ვართ, გადავიხადოთ. ჩვენ გვეძახიან მოწამეთა ერს და ვამაყობთ ამით“,** – განაცხადა ჰამადმა.

დაჯგუფების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ „ჰამასი“ არ აპირებდა მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმას, მაგრამ ადგილზე „გართულებები“ იყო.

## ლიზა იასკო:

# სააკაშვილის ღვინო კიევშია!!!

– ამის შესახებ უკრაინის რადას დეპუტატი ლიზა იასკო „ინსტაგრამში“ წერს და მიხეილ სააკაშვილის ძმასთან, გიორგი სააკაშვილთან ერთად გადაღებულ ფოტოს აქვეყნებს.

**„სააკაშვილის ღვინო კიევში დღეს და მომდევნო დღეებში. მიხეილ სააკაშვილის ძმა გიორგი სააკაშვილი და ვანო აფციაური წარმოადგენენ მიხეილ სააკაშვილის ღვინოს დღეს კიევში. ახალი მოსავალი. საფერავი, მუსკატი. შეგიძლიათ, შეიძინოთ დღეს, ხვალ და ზეგ 10:00-დან 18:00 საათამდე ბროვარსკის გამზირზე ან შეუკვეთოთ“,** – წერს ლიზა იასკო.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 6 ნოემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7152; ევრო - 2.8865;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3098;
100 რუბლი - 2.9271; თურქული ლირა - 0.0958;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5984;
1000 სომხური დრამი - 6.7825

**ამინდი 3 ნოემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე +21 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +6, | დღე +21 |
| თბილისი: | ღამე | +14, | დღე +23 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge